# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 14 აპრილი, 2010 წელი.

№68 (6434)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველაზე [illegible] უსაძაგლესია.




## კატინი, ანუ ტკივილი, რომელიც არ ნელდება

სმოლენსკთან მომხდარ ტრაგედიას პოლონელები 70 წლის წინათ კატინში მომხდარი ტრაგედიის გაგრძელებად მიიჩნევენ. პოლონეთის პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკი მეუღლითურთ და დელეგაციის თანხლებით კატინის ტრაგედიის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე მიფრინავდა

5





### კახა კაციტაძე:

## კონფლიქტების მოგვარების თვალსაზრისით დღეს სრული ჩიხია

6

## ბალთაზარ კოსას აჩრდილი,

7

ანუ რომელი კარიდან აპირებს შემოჭრომას უბედურება?



## რუსეთი-საქართველო. რა სურთ ხალხებს?

რუსეთის ქართული დიასპორის სახელით

3



## „რა დრო, რა დასცემს შენს უკვდავ სხეულს?.."

11

## ამომრჩეველთა სიის დაზუსტებას ას მილიონ ლარზე მეტი სჭირდება

როდის მოევლება ამ პრობლემას ხარატიშვილის აზრით?

2



## თბილისი ყველაფერში 8 კრემლის ხელს ხედავს

GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

0108 Tbilisi, Georgia
52 Rustaveli ave.
*Office of the President*
Tel.: (+995 32) 99 88 91
Fax/Tel.: (+995 32) 99 88 23
E-mail: t.gamkrelidze@sciencc.org.ge

0108 თბილისი,
რუსთაველის პროსპ. 52
ტელ.: (+995 32) 99 88 91;
ფაქსი: (+995 32) 99 88 23
ელ. ფოსტა: t.gamkrelidze@science.org.ge

ვარშავა,
აკადემიკოს მიხალ კლეიბერს
პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს

თბილისი, 13 აპრილი, 2010

**ღრმად პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო,**

მიიღეთ ჩვენი გულწრფელი თანაგრძნობა პოლონეთის პრეზიდენტ ლეხ კაჩინსკისა და მისი დელეგაციის წევრთა ტრაგიკული დაღუპვის გამო.

ღრმა მწუხარებით,
აკადემიკოსი
თამაზ გამყრელიძე
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის პრეზიდენტი.

## ◎ 14 აპრილი – დედაენის დღე

# „რა დრო, რა დასცემს შენს უკვდავ სხეულს?..“



**კითხვის ნიშანი დაუსვამს დედაენისადმი მიძღვნილი თავისი უკვდავი ლექსის ამ სტრიქონისთვის დიდ ირაკლი აბაშიძეს... კითხვა დატოვა სულგანათლებულმა, არა ეჭვისა, არამედ მშობლიური ენის სიძლიერის, სიდიადის გამომხატველი: „რა დრო, რა დასცემს შენს უკვდავ სხეულს?..“**

... შევყურებდი იმ დღეს ქუთაისიდან მთავრობის სხდომის ტელერეპორტაჟს, ვისმენდი რა „გენიალურ“ აზრებს აფრქვევდა ჩვენი პრეზიდენტი, ზეალმართულ მარჯვენა ხელში კომპიუტერი რომ ეჭირა (რამდენჯერმე მაგიდაზეც დააგდო, ნახეთ, არ ტყდებაო) და აღტაცებული ყვებოდა, როგორ აპირებს იგი, სექტემბრიდან ჩვენი ბავშვების სწავლა-განათლება კომპიუტერში „ჩატენოს“, ინგლისურის მასწავლებლები უცხოეთიდან მოიწვიოს და გასა მარტო საქართველოს დიდი ქალაქები, სოფელ-ადგილებიც კი „გააინგლისელოს“.

ვაი, რა ტყუილ-უბრალოდ მივუტანე ჩემს შვილიშვილს დიდი იაკობის „დედაენა“ და „ბუნების კარი“, თურმე, რა უქმად ვუკითხავდი მას შოთა ნიშნიანიძის ბრწყინვალე ლექსს, რომ „დედაენის“ ბაღში, ელგუჯა ამაშუკელის ასევე ბრწყინვალე „დედაენის“ ძეგლთან სხაპასხუპით წაეკითხა:

**„იდიდე წიგნო, იდიდე,**
**ქართული სულის ლაზათო,**
**ღმერთი თუ არა ღმერთკაცი,**
**იქნება კიდევ გაზარდო“.**

სასექტემბროდ, „დედა ენის“ მაგივრად კომპიუტერს ჩადებს ჩანთაში ანანო და აბა, ჰერი... ისა და მისი თაობა „ქართული სულის ლაზათს“ კომპიუტერით შეიგრძნობენ!..

სასაცილოა ეს ყოველივე, სატირალი რომ არ იყოსო, მეუბნება პროფესორი ვახტანგ როდონაია, რომელსაც მიშა სააკაშვილის ამ იდეის კომენტირება ვთხოვე. როგორ შეიძლება ამაზე სერიოზულად საუბარი, კარგი, დავუშვათ, კომპიუტერი „გაუადვილებს“ „გარჯას“ პატარებს, მაგრამ წერას ვინღა ასწავლისო?.. ბავშვს რომ სუფთა წერაზე მშობლიური ანბანი გამოჰყავს ლამაზად, ამით ხომ სულს ისუფთავებსო?

ახლა, რომელიმე „ნაცელი“ შეიძლება შემედავოს, ინგლისურის და კომპიუტერის ცოდნა დრომ მოითხოვაო... კი, ბატონო, კარგია, მისასალმებელია, მაგრამ ქართული სულიერებისთვის ადგილი დავტოვეთ?! ერთი ფრაზით მაინც ეთქვა იმ „ისტორიულ“ მთავრობის სხდომაზე თქვენს პრეზიდენტს, ინგლისური და კომპიუტერი ვისწავლოთ, მაგრამ მშობლიური ქართული არ დავივიწყოთ, დავიცვათ და მოვუაროთო!.. პირიქით, ასე დაგვმოძღვრა, ინგლისურად მთელი მსოფლიო ლაპარაკობს, ქართულად კი – ჩვენს გარდა არავინო!..

ჰოდა, ბრძენო ბატონო ირაკლი, ხელისუფლება რომ მომავალ თაობას ასე „შეამზადებს“ ცხოვრების ასპარეზზე გასასვლელად, ამან მართლა შეიძლება დასცეს და სამუზეუმო გახადოს ჩვენი სათაყვანო ქართული ენა!..

ღმერთმა ამას ნუ მოგვასწროს!

**ვილენ მარდალეიშვილი**

## ◎ რეგიონი

# პოლიტიკური ზეწოლა კახელ პედაგოგებზე

**დასავლეთ საქართველოს შემდეგ „თეთრებმა“ კახეთს მიაშურეს. რეგიონებში მცხოვრებლებს წუხილი და მოუგვარებელი პრობლემები ნამდვილად არ აკლიათ. სამწუხაროდ, განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, ისინი არავის, მათ შორის არც ოპოზიციას ახსენდება. იყო მხოლოდ ერთეული შემთხვევა, როცა თბილისის გარდა, დანარჩენი საქართველოს მოსახლეობის ბედით არჩევნებამდე დაინტერესდნენ.**

კახეთში „თეთრების“ ვიზიტის მსგავსი იშვიათი გამონაკლისია. ამ რეგიონში ისინი ინფორმაციით ნამდვილად დაიტვირთნენ და ნანახი და გაგონილი ფართო საზოგადოებასაც გააცნეს. განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ კახეთის მოსახლეობას მხოლოდ სოციალური პრობლემები არ აწუხებს, რადგან პოლიტიკური თამაშების მსახვრალი ხელი მათაც მიწვდათ. მოძრაობა „თეთრების“ ინფორმაციით, კახეთში ოპოზიციურ პედაგოგებს დევნიან, რწმუნებულები მათ სახალხოდ ლანძღავენ. განსაკუთრებით მოახლოებული არჩევნების წინ.



„თეთრების“ განცხადებით, საზღვრისპირა სოფელ საბათლოს საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი ნინო ქადაგიშვილი სოფლის რწმუნებულს დავით გუნდაძეს უხეშ მოპყრობასა და პოლიტიკური ნიშნით დევნაში ადანაშაულებს. პედაგოგები ამბობენ, რომ ახლახან პრეზიდენტის კახეთის მხარის რწმუნებულის გიორგი ღვინიაშვილის სარვამარტო მისალოცები ოპოზიციურად განწყობილ მასწავლებლებს არ დაურიგეს.

**– გამგებლის რწმუნებული დავით გუნდაძე ასე მეუბნება, თუ ხარ, ჩვენთან იყავი, თუ არადა – სკოლიდან წადიო. მისალოცები სარვამარტოდ ყველას დაურიგეს და მე სიაში არ ვიყავი. პირადად გუნდაძე არიგებდა. რა თქმა უნდა, გავაპროტესტე. ვამბობდი, ყველაფერი გასაგებია – პოლიტიკური ნიშნით მავიწროვებთ-მეთქი. თქვენ წარმოიდგინეთ, რწმუნებულმა სამასწავლებლოში უხეში და უშვერი სიტყვებიც წარმოთქვა,** – ამბობს საბათლოს საჯარო სკოლის ქართული ენის მასწავლებელი ნინო ქადაგიშვილი.

„თეთრების“ ინფორმაციით, საბათლოში რწმუნებულს სხვა მაცხოვრებლებიც ემდურებოდნენ. თვენახევრის წინათ, გაზეთმა „ქიზიყმა“ გაავრცელა ინფორმაცია, რომელშიც ადგილობრივები დავით გუნდაძეს უყურადღებობასა და სოფლისადმი გულგრილობაში ადანაშაულებდნენ. მოსახლეობის თქმით, გუნდაძე აჭარის რეგიონში თვეობით მიდის და სოფელი ღვთის ანაბარა მიგდებული რჩება, რწმუნებულს კი მხოლოდ პირადი კეთილდღეობა ადარდებს. სოფელ საბათლოს მკვიდრის ლია ოვსეპიანის განმარტებით, ოპოზიციური მოსაზრებების გამო რწმუნებულმა ის პირად კონტროლზე აიყვანა და მისი ყოველი ნაბიჯი საგულდაგულოდ მონწმდება.

**– საბათლოში ზეწოლის ფაქტები გახშირდა. პირდაპირ მაფრთხილებენ, თუ არ გაჩერდები, დახმარებას მოგიხსნითო. სოციალური დახმარება ადრეც პოლიტიკური ნიშნით ნაწილდებოდა, მაგრამ ახლა ვითარება უფრო გამძაფრებულია და უარესი ხდება,** – აცხადებს ლია ოვსეპიანი.

გუნდაძის ახირებებსა და არაადეკვატურ ნაბიჯებზე ადგილობრივები უკვე ღიად საუბრობენ და გამგებელ ლევან ბალაშვილს სთხოვენ, დაინტერესდეს მისი რწმუნებულის თავხედური ქმედებებით. მათი თქმით, რწმუნებული უკვე უკონტროლო ხდება. შეურაცხყოფილი პედაგოგები პრობლემებზე საუბარს გიორგი ღვინიაშვილთან პირადად გეგმავენ.

ეს მხოლოდ ერთი სოფლის მაგალითია. საქართველოში კი სოფლების ნაკლებობას ნამდვილად არ ვუჩივით, სამაგიეროდ იქ გამეფებულ მდგომარეობაზე, უსამართლობასა და ანუკითხაობაზე რატომღაც ყველა თვალს ვხუჭავთ და იშვიათად, ისიც პირადი საჭიროების გამო ამოვიღებთ ხოლმე ხმას, რომლის დაპატრონებასაც ასე მონდომებით ცდილობენ.

**ანა წიწილაშვილი**

## ◎ ცესკო

# ამომრჩეველთა სიის დაზუსტებას ას მილიონ ლარზე მეტი სჭირდება

## როდის მოევლება ამ პრობლემას ხარატიშვილის აზრით?

**გუშინ სახალხო დამცველის ოფისში ცესკოს თავმჯდომარე ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებს შეხვდა. თემა, რა თქმა უნდა, არჩევნები და მასთან დაკავშირებული პრობლემები იყო.**

**შეხვედრას სახალხო დამცველიც დაესწრო, რადგან ამ იდეის ავტორი თავად გახლავთ.**

**გიორგი ტუღუში: „ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები აქტიურად ჩაერთონ საარჩევნო პროცესში, უზრუნველყოფილი იყოს ყველა საშუალება: დაიბეჭდოს მასალები მათს მშობლიურ ენაზე, ტელერადიო გადაცემები ყველასათვის გასაგები ენით ითარგმნოს და ა.შ. წინასაარჩევნო პერიოდი იმისათვის უნდა გამოვიყენოთ, რომ შემდგომ, არჩევნებზე, პრობლემები არ შეიქმნას“.**

საარჩევნო პროცესში ეროვნული უმცირესობის ეფექტიანი ჩართვა სახელმწიფოს სტრატეგიის ნაწილია, რომელიც მათ ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციას უნდა ემსახურებოდეს. ზურაბ ხარატიშვილმა კონკრეტული სამოქმედო გეგმა წარმოადგინა, რომელშიც ძირითადად ყურადღება ენობრივ ბარიერზეა გაკეთებული. ამ პრობლემის გადასაჭრელად იგეგმება კომისიის წევრთა სწავლა-ტრენინგების მათ მშობლიურ ენაზე ჩატარება, სახელმძღვანელოების მომზადება, თვითმმართველობის შესახებ ყველა საჭირო ინფორმაციის თარგმნა და ა.შ. (ძირითადი ენებია აზერბაიჯანული, სომხური, რუსული).

ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს, ბუნებრივია, ეს საკითხები აღელვებთ. მაგრამ, როგორც იქ ითქვა, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია საარჩევნო სიებთან დაკავშირებული თემები. მაგალითად, სამცხე-ჯავახეთი თითქმის დაცლილია, ბევრს მიტოვებული აქვს სახლ-კარი და სხვა ქვეყანაშია გადახვეწილი, მაგრამ საარჩევნო სიაში მაინც რჩება.

**ზურაბ ხარატიშვილის** კომენტარი ასეთია: **„მართალია, ადამიანები დიდი ხნის წასულები არიან, მაგრამ ინარჩუნებენ საქართველოს მოქალაქეობას, ამდენად, არანაირი უფლება არა გვაქვს, საარჩევნო სიიდან ამოვყაროთ. ქვეყნიდან გასულებისა და შემოსულების შესახებ ინფორმაციას საზღვრის დაცვის დეპარტამენტი ფლობს, თუმცა ის მხოლოდ 2008 წლის 1 იანვრიდან ამუშავდა, ამიტომ უფრო ადრე გასულთა შესახებ ინფორმაცია ცნობილი არ არის. აქედან გამომდინარე, ბევრი მუშაობაა საჭირო, ბევრი ფულია დასახარჯი და ამას 2-3 წელიწადი მაინც დასჭირდება. 100-150 მილიონი ლარი დასჭირდება იმ უმთავრეს საკითხს, რაც ამომრჩეველთა სიის დაზუსტების პრობლემას მოაგვარებდა. შესაცვლელია დამისამართების სისტემა, პირადობის მოწმობა არის გამოსაცვლელი, რომელიც ბიომეტრიული პასპორტით უნდა შეიცვალოს (მარტო ამას სჭირდება 10 მილიონი ლარი) და, რაც მთავარია, უნდა ჩატარდეს მოსახლეობის აღწერა“.**

ვინაიდან, ჯერჯერობით ასეთი კოლოსალური თანხა ცესკოს ბიუჯეტში არ დევს, ამ საკითხებს მხოლოდ არჩევნების შემდეგ თუ მოევლება. რა ალტერნატივაა? – ხარატიშვილის აზრით, იმ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი გასულია, ყველაზე კარგი საშუალება უზუსტობების თავიდან ასაცილებლად არის წინასწარი რეგისტრაცია. შეხვედრაზე საუბარი სხვა საკითხებსაც შეეხო: არანაკლები მნიშვნელობა აქვს, რომ 300 ათასამდე ადამიანი არ ცხოვრობს იქ, სადაც რეგისტრირებულია. იმის მიუხედავად, რომ გარდაცვალების ცნობის აღება გამარტივდა, რეგიონებში ამ მხრივ თბილისთან შედარებით უარესი ვითარებაა. მართალია, სოფლის რწმუნებულს შეუძლია გარდაცვალების დარეგისტრირება, თუმცა პრობლემა პრობლემად რჩება...

**ნია ფიფია**

# რუსეთი-საქართველო. რა სურთ ხალხებს?

## რუსეთის ქართული დიასპორის სახელით

### მოგიწოდებთ, მხარი დაუჭიროთ და ფართოდ გამოიყენოთ საზოგადოებრივი ინიციატივები და სახალხო დიპლომატიის შესაძლებლობები

**მიმართვა რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს პრეზიდენტებისადმი**

ჩვენ, საზოგადოებრივ ძალთა I საერთაშორისო ფორუმის – „რუსეთი-საქართველო. რა სურთ ხალხებს?“ – მონაწილენი, ღრმად ვართ შეშფოთებულნი რუსეთსა და საქართველოს შორის შექმნილი მდგომარეობით, რომელიც უარყოფითად მოქმედებს ორმხრივ ურთიერთობებზე, ჩვენი ისტორიული და კულტურული კავშირებისა და განვითარების პერსპექტივებზე.

რუსეთის ქართული დიასპორა გაგებით ეკიდება რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობის საქმიანობას, ემადლიერება მას მხარდაჭერისათვის, ქართველი ერის მიმართ ქსენოფობიური განწყობილებების აღკვეთისა და ერთაშორისი თანხმობის შენარჩუნებისათვის რუსეთში. ქართული დიასპორა მზადაა, ყველა ხელმისაწვდომი საშუალებით აუხსნას ხალხებს ჩვენი ქვეყნების კეთილმეზობლობისა და პარტნიორობის აუცილებლობა და ამისთვის ახალ-ახალი არგუმენტები მოიძიოს. ორი ქვეყნის პოლიტიკურ ელიტებს შორის კონფლიქტი მტკივნეულად აისახება როგორც რუსთა მდგომარეობაზე საქართველოში, ისე ქართველებისაზე – რუსეთში. ამიტომ ჩვენი საერთო ამოცანაა სახალხო დიპლომატიის განვითარება და ისეთი ერთა პრობლემებს, ისე საქართველოსთან კონფლიქტის მოგვარებას.

2008 წლის აგვისტოში კავკასიაში მომხდარმა კონფლიქტმა, შემდეგ კი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებამ კრიტიკულად იმოქმედა საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობებზე. ყველა ქართველს გონებით გაცნობიერებული აქვს მომხდარი, მაგრამ არც ერთს არ ძალუძს გულით მიიღოს და მხარი დაუჭიროს ამ რეალობას საქართველოს ხალხთა კვლავ გაერთიანებისა და მისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარეშე. რუსეთი საკვანძო ქვეყანაა, რომელსაც შეუძლია გახდეს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხალხთა უფლებების დაცვისა და ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის გარანტი.

ფორუმის მონაწილეებს მიგვაჩნია, რომ აუცილებელია უარი ვთქვათ შექმნილ სტერეოტიპზე, აღვადგინოთ მეგობრული კავშირები და რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობებში ახალი ფურცელი გადავშალოთ. ამ პროცესში სამაგალითოდ უნდა გვქონდეს უწინდელი ურთიერთობა საქართველოსა და რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის.

თაშორისი დიალოგის დაწყება, რომელიც საშუალებას მოგვცემს გვქონდეს ურთიერთობა, დავაახლოვოთ პოზიციები და აღმოვფხვრათ კონფლიქტების შედეგები.

საქართველოში არსებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს არა აქვთ შესაძლებლობა, აქტიურად შეუერთდნენ სახალხო დიპლომატიის მისიის დაწყებას და ფართო დიალოგს. ამიტომ ინიციატორებად უნდა გამოვიდნენ რუსეთში მოქმედი ქართული ორგანიზაციები, სწორედ მათ უნდა შეუწყონ ხელი ერებს შორის კომუნიკაციის უზრუნველყოფას. რუსეთში ახლო საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობების ამჟამად ფორმირებადი ახალი მოდელი, უფრო ფართოდ ითვალისწინებს მათ ეროვნულ ინტერესებს, არის ახალი იდეოლოგიური ბაზა, რომელსაც შეუძლია საზოგადოების ყურადღება მიაპყროს როგორც პოსტსაბჭოთა სივრცის სახელმწიფოთა პრობლემებს...

ბატონო პრეზიდენტებო, მოგიწოდებთ დადგეთ პრობლემებსა და ამბიციებზე მაღლა და იმოქმედოთ ჩვენი ხალხების ინტერესებისათვის, რათა აღმოიფხვრას არსებული პრობლემები, აღდგეს მრავალსაუკუნოვანი კეთილმეზობლური და პარტნიორული ურთიერთობები რუსეთსა და საქართველოს შორის, და სათავე დაუდოთ ახალ ინტეგრაციულ პროცესებს საქართველოს და აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის. გთხოვთ, ყველა დიპლომატიური საშუალება და ძალისხმევა გამოიყენოთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად. საქართველოს ხალხებს სურთ იცხოვრონ ერთ, დემოკრატიულ და რუსეთის მეგობარ დამოუკიდებელ სახელმწიფოში თავიანთ აფხაზ და ოს და-ძმებთან ერთად. გამოვთქვამთ რწმენას, რომ გარკვეული დროის გასვლისა და იმ მიზეზების აღმოფხვრის შემდეგ, რომლებმაც საქართველოში ხალხთა დაპირისპირება და ტრაგედია გამოიწვია, როცა კვლავ აღდგება და განმტკიცდება ურთიერთნდობა, დემოკრატია, დაიწყება საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარება, რუსეთის შუამავლობითა და მყარი გარანტიებით აღდგება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობაც ახალი სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმატით.

მოგიწოდებთ, უახლოეს მომავალში: აღადგინოთ დიპლომატიური ურთიერთობები და გააუქმოთ ან მნიშვნელოვნად შეამსუბუქოთ სავიზო რეჟიმი რუსეთსა და საქართველოს შორის; ორმხრივად შეუწყოთ ხელი რუსეთისა და საქართველოს მოქალაქეებს იმ ქვეყნის მოქალაქეობის მიღებაში, სადაც მათ ცხოვრება სურთ; აღადგინოთ ეკონომიკური და სავაჭრო თანამშრომლობა სხვადასხვა ემბარგოებსა და აკრძალვებზე უარის ერთდროულად თქმით და გამოაცხადოთ სტრატეგიული პარტნიორობის პრიორიტეტები; გამოაცხადოთ ამნისტია და გრძელვადიან პერსპექტივაში რუსეთში არალეგალურად მყოფ საქართველოს მოქალაქეებს მიანიჭოთ კანონიერი სტატუსი, მათ შორის, ლტოლვილებსა თუ შრომით მიგრანტებს; დაიცვათ ადამიანის უფლებები და აღკვეთოთ ეროვნული ნიშნით მოქალაქეთა დევნისა და მათი უფლებების შელახვის ყველა ფაქტი და მცდელობა; ყოველმხრივ შეუწყოთ ხელი რუსეთისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიების ინტეგრაციულ საქმიანობას, რომლებიც მხარს უჭერენ საქართველოს კანონიკურ ტერიტორიულ მთლიანობას და ორი მოძმე მართლმადიდებელი ერის მრავალსაუკუნოვანი კეთილმეზობლური ურთიერთობების აღდგენის საქმეში სულიერ გარანტებად და იმედად გვევლინებიან.

მოგიწოდებთ, მხარი დაუჭიროთ და ფართოდ გამოიყენოთ საზოგადოებრივი ინიციატივები და სახალხო დიპლომატიის შესაძლებლობები კონფლიქტების შედეგების აღმოსაფხვრელად რუსეთისა და საქართველოს ხალხებს შორის პირდაპირი დიალოგის გამართვისათვის, ურთიერთნდობის აღდგენისათვის, კულტურული, სულიერი და ეკონომიკური კავშირების დასამყარებლად.

მიღებულია საზოგადოებრივ ძალთა I საერთაშორისო ფორუმზე – „რუსეთი-საქართველო. რა სურთ ხალხებს?“

2009 წლის 10 ოქტომბერი,
ქ. კრასნოდარი.

ფორუმის მონაწილეთა სახელით,
საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე

**მინდია გულუა**

### საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს

ბატონო პრეზიდენტო,

რუსეთის ფედერაციაში მცხოვრებ ქართველთა დიასპორის სახელით მსურს მოგილოცოთ უფლის აღდგომა და ხარების დღესასწაული. ქართველ ერთან ერთად გისურვებ ყოველივე საუკეთესოს, ეროვნული პოლიტიკის გატარებაგაბრწყინებას, ქართველ ერში სულიერი ერთობის განმტკიცებას და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას.

გისურვებთ და გთხოვთ გადადგათ კონკრეტული პრაქტიკული ნაბიჯები რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტთან ერთად, ქართველი და რუსი ერების კეთილმეზობლური და თანასწორუფლებიანი თანაცხოვრებისათვის. ჩვენ, რუსეთის ფედერაციაში მცხოვრები ქართველები, სახალხო დიპლომატიის ტაქტით ყველაფერს ვიღონებთ ქართველთა ღირსებისა და ავტორიტეტის ასამაღლებლად.

ამასთან, კიდევ ერთხელ გაახლებთ მიმართვას თქვენსა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის სახელზე, მიღებულს 2009 წლის 10 ოქტომბერს, ქ. კრასნოდარში, საზოგადოებრივ ძალთა I საერთაშორისო ფორუმზე – „რუსეთი-საქართველო. რა სურთ ხალხებს?“

პატივისცემით, **მინდია გულუა.**

### ქართველი, რომელიც სამშობლოს გაერთიანებაზე ოცნებობს

მინდია (კახა) ამირანის ძე გულუა.

იურისტი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ბიზნესმენი.



დაიბადა 1969 წლის 17 ოქტომბერს, ქ. სოხუმში, ინტელიგენტის ოჯახში.

1986 წელს დაამთავრა ქ. სოხუმის №17 ქართულ-რუსული საშუალო სკოლა ოქროს მედალზე. იმავე წელს ჩაირიცხა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1991 წელს წითელ დიპლომზე.

1991 წელს ჩაირიცხა იურიდიულ ფაკულტეტზე, მაგრამ აფხაზეთში ძმათაშორის გაჩაღებული ომის გამო, 1993 წლიდან სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში. 1993-94 წლებში ქ. თბილისში შეჭირვებული ცხოვრების გამო, იძულებული გახდა საქართველო დაეტოვებინა და მეუღლის, შვილის, დედისა და დისათვის საარსებო ლუკმაპურის საშოვნელად რუსეთში წასულიყო. ჯერ მოსკოვში ცხოვრობდა მარტო, შემდეგ კი კრასნოდარში გადავიდა. მერე ცოლ-შვილიც თან წაიყვანა და იქ დამკვიდრდა. საბუთები თბილისიდან ყუბანის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადაიტანა. სწავლობდა და თან მუშაობდა. ქართველ და რუს მეგობრებთან ერთად ფირმა შექმნა და ბიზნესს მოჰკიდა ხელი. 1999 წელს დაამთავრა იურიდიული ფაკულტეტი. 2000 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ბიზნესი და ცხოვრების აქტუალური პრობლემები“, რომელმაც საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.

სადღეისოდ, წარმართავს ბიზნესს. დიდად კმაყოფილია რუსი პარტნიორებითა და მეზობლებით. ხშირად ამბობს: „რუსებმა ძმასავით დამიყენეს გვერდითო“.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

მისი მიზანია: სწორი წესით ცხოვრება, რაც ქრისტიან მართლმადიდებელ კაცს შეჰფერის.

ოცნება: თანამემამულეებთან ერთად სოხუმში დაბრუნება და აფხაზ ძმებთან თანაცხოვრება.

უკმარისობის გრძნობა: 1993 წლიდან არ ყოფილა მამის საფლავზე. მას ხშირად სიზმარში ხედავს.

შეგონება: მამის ანდერძი – იცხოვრე გონივრულად, ოფლით მოიპოვე ყოველივე.

არსი ცხოვრებისა: ღირსეული შვილების აღზრდა.

პოლიტიკასთან დამოკიდებულება: იგი ხშირად ამბობს: „პოლიტიკა ჩემი საქმე არ არის! მე შემიძლია კარგი შუამავლის და შერიგების ფუნქცია შევასრულო. მყავს როგორც რუსი, ისე აფხაზი მეგობრები. ჩვენ, ყველამ ერთად, არ უნდა დავუშვათ დაშორება და გათიშულობა. ის, რაც დღეს ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ, ხვალ მისი გაკეთება ჩვენს შვილებს ძალზედ გაუჭირდებათ... ნუ გადავდებთ ერის საქმეს, უფალი გვიწყალობებს. 4 აპრილს ხომ:

ქრისტე აღსდგა!

ჭეშმარიტად აღსდგა!

ყველა მართლმადიდებელი ხალხისათვის და იგი თითოეული ჩვენგანისაგან პრაქტიკულ ნაბიჯებს ელოდება.

**ⓞ თუ გული გულობს...**

# დასავლეთს პრობლემების მოგვარება გულით რომ სურდეს...



1962-65 წლებში (მეორე მსოფლიო თავყრილობაზე) ვატიკანმა მიიღო დეკლარაცია „ჩვენი დრო" (Nostra Aetate), რომლითაც ებრაელებს მოეხსნათ ქრისტეს მკვლელობის ბრალდება, და ეს გაკეთდა მიუხედავად იმისა, რომ თავად ებრაელების პირველ წიგნში — „თალმუდში" ( 2500 სწავლულის მიერ ქრისტეშობამდე დაწყებულ და 1000-1100 წლებში დამთავრებულ ნაშრომში) გარკვევითაა ნათქვამი, სასიკვდილო განაჩენი სინედრიონის სასამართლომ გამოიტანაო (რომაელები, საერთოდ, ნახსენებიც კი არ არიან)! როცა პაპის საბჭოს ხელმძღვანელი ისტორიის საკითხებში ცდილობს იუდას გამართლებას — ის არა გამყიდველი, არამედ ღმერთის ნების, მისი დავალების(?!) შემსრულებელი იყოო, როცა ამ, ასე ვთქვათ, „პროექტს" თავად რომის პაპი უჭერს მხარს, და როცა ვატიკანი მასონებისთვის ბოდიშის მოხდას აპირებს 700 წლის წინ მათი ორდენის, ტამპლიერების დარბევისთვის, იქ უკვე ყოველგვარი ლაპარაკი ეკლესიების დაახლოებაზე გამორიცხულია. ისე, მართლაც სასაცილოა, მართლა სატირალი რომ არ იყოს — **ჰოლოკოსტის და მეორე მსოფლიო ომის რევიზიისთვის დღეს ციხეა, იუდას საქციელი კი, თურმე, ხელახალ შეფასებას საჭიროებს!**

საქმეს ყველაზე მეტად ართულებს ის, რომ საეკლესიო საკითხებში და წმინდა წიგნების შეფასებაში აქტიურად და ერთობ მიკერძოებით ერევა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი, რომლის **გლობალური ანტისემიტიზმის სამსახური „ახალ აღთქმას" შეთქმულების(!) თეორიის წიგნებთან ათანაბრებს,** რომელმა წიგნებმაც შთააგონა თურმე ჰიტლერი... გაენადგურებინა ებრაელები! ეს სამსახური „ახალ აღთქმას" „კლასიკურ ანტისემიტიზმს" მიაკუთვნებს და ამით ყველას მიანიშნებს, რომ ყველა უბედურების და ომების მიზეზი „ახალი აღთქმაა", რომ იგი არა კაცთმოყვარე ფილოსოფიის მქადაგებელი უწმინდესი წიგნია, როგორც ეს ქრისტიანებს მიგვაჩნია (და როგორიც იგი სინამდვილეში არის, განსხვავებით „ძველი აღთქმისგან"!), არამედ — ეროვნებათაშორისი შუღლის გამღვივებელი, რომელიც ახალი „ჰოლოკოსტის" გამომწვევი მიზეზი კვლავ შეიძლება გახდეს!

ასეთი ყოვლად მიუღებელი შეფასება „ახალი აღთქმისა" თავის მხრივ იმის წანამძღვარია, რომ მისი მიმდევრები (ორ მილიარდამდე მორწმუნე!) ამერიკა-კანადაში და ევროპის 12 ქვეყანაში შესაძლოა დაისაჯონ კიდეც იქ მიღებული კანონებით, როგორც ანტისემიტები! უკვე დღეს, კანადაში, ქრისტეს მოკვლის დაბრალება იმდროინდელი ებრაელებისთვის (არა მთელი ერისთვის, არამედ — მხოლოდ წინამძღოლებისთვის!) საჯაროდ გამოთქმული, 5 000 დოლარის ჯარიმას ითვალისწინებს, განმეორებით ანალოგიური „დანაშაული" კი — ციხეს!

თითქოსდა ნათელია ყველაფერი, მაგრამ მაინც, რაღაც დაუკმაყოფილებლობის გრძნობა გეუფლება კაცს და გიჭირს იმის დაჯერება, რომ მართლაც ასეთია მწარე სინამდვილე, გიჭირს და თან გიკვირს კიდეც — რაში უნდა აძლევდეს ხელს ამ, მსოფლიო ბატონობაზე მეოცნებე „ვილაცეებს", გაჭირვებულ-გალატაკებული ქვეყნები, ადრე თუ გვიან ეს ხომ ისევ მათ ქისას დაეტყობა? თითქოს სწორი მსჯელობაა, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ მხოლოდ მეტი ფულის შოვნას ჩავთვლით მათ მთავარ მიზნად. ყველაფერი თავის ადგილზე დგება, როცა სარწმუნოდ ორი უმთავრესი ჩანაფიქრი იქნება მიჩნეული: ერთი მხრივ, ყელში ხელწაჭერილ **ქვეყნებზე კონტროლი** (მათი ბუნებრივი სიმდიდრეების, სტრატეგიულ ობიექტებსა და მასმედიასთან ერთად, დასაკუთრებით) და მეორე მხრივ — **შერჩევითი დეპოპულაცია.** ფერად-ფერადი რევოლუციები და ომები, შიმშილი და ეპიდემიები, ჰომოსექსუალიზმი და ნარკოტიკები, სქესობრივი აღვირახსნილობა და რასობრივი აღრევის პროპაგანდა-დამკვიდრება ყველა სახელმწიფოში (ისრაელის გარდა!), საუკეთესო საშუალებებია ორივე მიზნის მისაღწევად.

პირველი მიზანი დღესავით ნათელია და, შეიძლება ითქვას, კითხვებსაც არ ბადებს, მაგრამ ნაკლებად ჩახედული მკითხველი ეჭვის თვალით შეხედავს მეორე მიზნის სარწმუნოებას — პატიოსანი ქრისტიანი კაცისთვის დეპოპულაციის არათუ დაშვება, გაფიქრებაც ხომ მკრეხელობაა! ნამდვილად ასეა, მაგრამ რა ვუყოთ ფაქტებს:

ამერიკის ტეხასის შტატის მეცნიერმა-ეკოლოგმა ერიკ პიანკამ (2006 წელს საუკეთესო მეცნიერად აღიარებულმა) მსოფლიოს მოსახლეობის 90 პროცენტით შემცირების წინადადება წამოაყენა მეცნიერებათა აკადემიის შეკრებაზე ერთ-ერთ უნივერსიტეტში. ძალიან ბევრი ურწმუნო თომა ალბათ იტყვის: ერთი კაცი, თუნდაც ლაურეატი, რას დაიბჟუტურებს, ეს რა მოსატანიაო, და ვერაფერს ვერ ვიტყოდით, მაგრამ როცა ამ ერთი კაცის ნათქვამს (უძახე შენ ნაბჟუტურები) ასობით მეცნიერი ფეხზე ამდგარი ოვაციას უწყობს, მაშინაა ჩვენი, მილიარდობით ადამიანის საქმე ხელიდან წასული, გინდა 90 პროცენტი ყოფილა და გინდა — 50 პროცენტი!

ასეთი რამის თქმას ხმამაღლა და ტაშის დაკვრასაც ვერავინ გაბედავდა, ეს მოსაზრება მომწიფებულ-ჩაფიქრებული სულ ზედა ეშელონებში რომ არ იყოს. ეს ასეც არის — „ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების შემსწავლელი მემორანდუმი-200"-ით (NSSM 200) აშშ-ს ძირითად სტრატეგიულ ამოცანად მსოფლიოში დეპოპულაცია გამოცხადდა ჯერ კიდევ 1974 წელს. აი, რას ამბობდა ყველასთვის ცნობილი ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწე ჰენრი კისინჯერი 1978 წელს: **„ამერიკის პოლიტიკა მესამე სამყაროს ქვეყნების მიმართ უნდა იყოს ერთი — დეპოპულაცია"!**

ამერიკის თავდაცვის მინისტრი კოენი კონგრესის წინაშე აცხადებს (1997 წლის აპრილში): **„ბიოლოგიური იარაღის თანამედროვე ფორმები შეიძლება მიზანდასახულად იქნას მიმართული სპეციფიური გენოტიპების წინააღმდეგ და ბიოლოგიური ომი უმართავი საშინელებიდან და ტერორიდან ვაქციოთ უაღრესად სასარგებლო პოლიტიკურ ინსტრუმენტად"!**

როკფელერის უნივერსიტეტის პრეზიდენტის, ნობელის პრემიის ლაურეატის, ბრიტანელი ბიოქიმიკოსის სერ პოლ ნერსის სახლში მანჰეტენზე გამართულ შეხვედრაზე (2009 წლის მაისში) ამერიკის უმდიდრესმა ადამიანებმა (ბილ გეიტსმა, უორენ ბაფეტმა, დევიდ როკფელერმა-უმცროსმა, მაიკლ ბლუმბერგმა, ტედ ტერნერმა, ქართველი „რესპუბლიკელების" საყვარელმა „ფილანტროპმა" ჯორჯ სოროსმა და სხვებმა) განიხილეს დედამიწის ჭარბმოსახლეობის პრობლემა. შეხვედრაც და განხილვაც იყო ფარული და მის შესახებ მხოლოდ რამდენიმე კვირის შემდეგ გახდა ცნობილი. ერთ-ერთი მონაწილის განცხადებით ეს განპირობებული იყო იმით, რომ მათ **არ უნდოდათ დისკუსიაში განვითარებადი ქვეყნების ჩართვა, და არც ის სურდათ, რომ შეხვედრის მონაწილეები გაზეთებში „მსოფლიოს ალტერნატიულ ხელისუფლებად" ყოფილიყვნენ წარმოჩენილნი.** ძალიან ძნელია იმის თქმა, თუ შეხვედრის მონაწილეებიდან ვის რა ადგილი უკავია ხალხზე „მაფიქრალ" „მსოფლიოს ხელისუფლებაში", მაგრამ იმის მიხვედრა კი ძალიან ადვილია, თუ ვინ, რომელი სახელმწიფოების ხალხები მოყვებიან „შემცირებაში"! მიხვედრაც რად უნდა, როცა დევიდ როკფელერი პირდაპირ ამბობს: „ჩვენთვის შეუძლებელი იქნებოდა ჩვენი გლობალური გეგმების განხორციელება, ისინი დროზე ადრე რომ გამჟღავნებულიყო. მაგრამ ახლა მსოფლიო მომზადებულია გლობალური ხელისუფლების მისაღებად. **რჩეული ელიტის და ბანკირების ზენაციონალური სუვერენიტეტი ბევრად უმჯობესია, ვიდრე გასული საუკუნეების ეროვნულად ორიენტირებული სახელმწიფოები".** როკფელერის ეს სიტყვები გლობალური მთავრობის შემადგენლობასაც ნათელს ჰფენს და შავ სიაში მოხვედრილ, მათი აზრით, ბევრად უარეს ანუ ეროვნულ სახელმწიფოებზეც გარკვევით მიუთითებს!

როცა ვიცით მსოფლიოზე მაფიქრალი ამ „ბრძენკაცების" ასეთი „ჰუმანური" გეგმების თაობაზე, უკვე აღარც ის მეთოდებია გასაკვირვი, რასაც ისინი მიზნის — დეპოპულაციის მისაღწევად იყენებენ.

ბევრი საინტერესო ფაქტი გამომჟღავნდა ვირუს-ვაქცინებთან დაკავშირებით. უპირველესად გაირკვა, რომ ეს ვირუსები ხელოვნურად, ლაბორატორიაში(!) შექმნილი ვირუსებია — მაგალითად, ღორის ვირუსი ჯერ კიდევ 2008 (!) წელს დააპატენტა „Medimmune Back" კომპანიამ, ანუ ღორის გრიპის გავრცელებამდე დიდი ხნით ადრე(!). არადა ცნობილია — ბუნებრივად მუტირებული ვირუსის გამოყოფა ეპიდემიის დაწყებიდან მხოლოდ თვეების შემდეგაა შესაძლებელი! დადგინდა ვირუსების შექმნა-გავრცელებაზე პასუხისმგებელი ფარმაკოლოგიური კორპორაციები და მათ უკან მდგომი მძიმეწონოსანი ამერიკელი მილიარდერებიც, რომლებსაც ჰარვარდდამთავრებულმა ექსპერტმა-მიკრობიოლოგმა ლეონარდ ჰოროვიცმა **გლობალური გენოციდის მომზადების ორგანიზებაში დასდო ბრალი.** „მოსადის" მიკრობიოლოგმა იოსებ მოშემ ლოს-ანჯელესის ცოცხალ რადიო-შოუში განაცხადა: **„ღორის გრიპის ვაქცინა — ეს ბიოლოგიური იარაღია! ვაქცინა შეიცავს ისეთ მინარევებს, რომლებიც ასუსტებენ იმუნურ სისტემას, ღორის ვირუსი მიღებულია 1918 წლის ცნობილი „ისპანკის" ვირუსიდან"!** გამჟღავნდა ისიც, რომ გერმანიაში ორი სახეობის ვაქცინა აქვთ — ერთი, მავნე მინარევებისგან თავისუფალი — მთავრობისა და ელიტალური წრისთვის, და მეორე, ამ მინარევების შემცველი — ხალხისთვის, რიგითი მოქალაქეებისთვის! როგორ გგონიათ, მარტო გერმანიაში ექნებათ ორნაირად დამზადებული ვაქცინები (ან წამლები)?

ყველას გვახსოვს საქართველოს ყოფილი ჯანდაცვის მინისტრის ჭიპაშვილის განცხადებები ლამის ნახევარი საქართველოს მოსახლეობის გარდუვალ დაღუპვაზე. ქიპაშვილის ფანტაზიის ნაყოფი არ იყო, მან უეჭველოდ, თუთიყუშივით გაიმეორა ის, რასაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციიდან ეუბნებოდნენ. ამ დეზინფორმაციის გავრცელებასა და პანიკის დათესვაში ამ ორგანიზაციას ბრალი დასდო გერმანელმა ეპიდემიოლოგმა ვოლფგანგ ვოდარგმა, რომელმაც **„საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი სამედიცინო სკანდალი"** უწოდა ღორის გრიპის ვირუსთან და ვაქცინაციასთან დაკავშირებულ მოვლენებს და პირდაპირ მიუთითა, რომ „მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის თანამშრომელთა ჯგუფი მჭიდრო კავშირშია ფარმაცევტულ მრეწველობასთან". გერმანელი ეპიდემიოლოგი დანაშაულებრივ კავშირებს გულისხმობს რათქმაუნდა, და არა — სამეცნიერო თანამშრომლობას. კი აპირებს ევროკავშირი ამ ბრალდებების გამოძიებას, მაგრამ ვეჭვობ რაიმე არსებითი გამომზეურდეს. ვირუსების და ვაქცინების შექმნა—გავრცელებაზე და საყოველთაო დეზინფორმაცია-პანიკაზე პასუხისმგებლობა ძალიან მაღალ პოზიციებზე, სათავეებში მყოფ პირებს ეკისრებათ, როგორც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციაში, ისე ფარმაცევტულ კომპანიებში და მათ მაკონტროლებელ სახელისუფლებო ეშელონებში. ამიტომ გამორიცხულია ამათი დასახელება და, მით უფრო — დასჯა.

რაც შეეხება სავალდებულო აცრებს (გამომზეურებული მამხილებელი მასალების გამო, საბედნიეროდ, ისე მასობრივადად, როგორც ჩაფიქრებული იყო, ვერ განხორციელებული) — კანადაში მოქმედებს კანონი (Apartheid Indian Act), რომლითაც რეზერვაციებში მაცხოვრებელ ინდიელებს უფლება არა აქვთ უარი თქვან ვაქცინაციაზე! ახლა კი კანადის ძირითად მოსახლეობაზეც გავრცელდება ეს მოთხოვნა ალბათ, რადგანაც 2009 წლის ბოლოსთვის პარლამენტისთვის გამზადებული იყო „კანონი C-6", რომლის ძალითაც ველარავინ იტყვის უარს ღორის გრიპის ვაქცინაზე.

2006 წელს ბუშმა ხელი მოაწერა კანონს, რომლის ძალითაც „ინფექციური დაავადებანი მიეკუთვნება ეროვნულ საგანგებო მდგომარეობას" და, აქედან გამომდინარე, იძულებითი ვაქცინაცია სავალდებულო ღონისძიება ხდება, ასე ვთქვათ, ეროვნული უბედურების თავიდან ასაცილებლად და, ამიტომაც, ყოველი ადამიანი, რომელიც უარს იტყვის აცრაზე, ადვილად შეიძლება წარმოჩინდეს, როგორც „ხალხის მტერი"!

აქ ვაპირებდი წერილის დასრულებას, მაგრამ მივხვდი, რომ ჩემეული ანალიზი თემისა — სურს თუ არა დასავლეთს პრობლემების მოგვარება, არ იქნებოდა ბოლომდე მიყვანილი, თუ არ განვიხილავდი ერთ, ჩვენ პრობლემასთან დაკავშირებლ ვარიანტს.

ძნელი დასაშვებია, მაგრამ მოდით, მაინც დავუშვათ, რომ დასავლეთმა, ანუ იმ ძალებმა, ვისაც ხელეწიფება მსოფლიო პოლიტიკის განსაზღვრა, მართლა გულით მოინდომა ზემოთგანხილული და კიდევ ბევრი სხვა პრობლემის მოგვარება. შესძლებს, იგი ამას? რა თქმა უნდა, თანაც უმოკლეს ვადებში! ერთადერთი, რასაც ასეთი იდეალური დასავლეთიც ვერ შესძლებს არის ერთი პატარა (ჩვენთვის დიდი) კონკრეტული საკითხი — საქართველოს გამთლიანება. საქართველოს სამართლიანი მოთხოვნების დასაცავად რუსეთს არავინ არ დაუპირისპირდება და ვერც იარაღით შეაშინებს. შეიარაღებულ დაპირისპირებაზე, რაზედაც რუსეთი უფროა წამსვლელი, ვიდრე ვინმე, დასავლეთი, პრაგმატული მიზნებიდან გამომდინარე, უბრალოდ, არ წავა, თავის თავს ის არ გადააყოლებს საქართველოს. იმისთანა ძალის მოსვლა კი, რომელიც იარაღით („ნატო"-თი) მართლა დაუპირისპირდება რუსეთს, რისი იმედიც ზოგიერთ გამოთაყვანებულ პოლიტიკოსს და „ნაცების" ასევე გამოთაყვანებულ მხარდამჭერებს აქვთ, ჩვენ არაფრით არ გვაწყობს, რადგანაც ასეთი ომის შემთხვევაში პირველად საქართველო აორთქლდება ამ დედამიწიდან!

ასე რომ, საკუთრივ **ჩვენი პრობლემის მოგვარება გამორიცხულია რუსეთის კეთილი ნების გარეშე,** და ქართველი ხალხის დაიმედება დასავლეთით, როგორც ჩვენი მხსნელი მესიისა (რაგინდარა ძალები არ მოვიდნენ იქ, თუ თავად რუსეთმა არ შეცვალა თავისი საუკუნეობრივი პოლიტიკა, რაც ნაკლებ სავარაუდოა), არის უმეცრების და უსინდისობის ნაზავი, მეტი არაფერი!

**იაკობ ლეჟავა.**

**(დასასრული იქნება)**

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 63-67.**

№ 68. ოთხშაბათი, 14 აპრილი, 2010 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უახლესი ისტორია



*ეს საშინელი ამბავი მრავალი წლის წინათ მოხდა, მაგრამ მისი დავიწყება, როგორც ჩანს, საერთოდ შეუძლებელია პოლონეთისთვის. იგი ისეთივე შემაძრწუნებელია, როგორც საქართველოსთვის ის საბედისწერო 1921 წელი. თუმცა ყველაფერი ისეთი ნათელი და დადასტურებულია, რომ ბოლოს და ბოლოს, ხანგრძლივი თავის დაღწევის ცდების მიუხედავად, იგი დამნაშავე მხარემაც (უფრო სწორად, მათმა მემკვიდრეებმა) აღიარა, მაგრამ რალაც „საბუთების“ ძებნა ჯერ კიდევ გრძელდება. ასე გასინჯეთ, მოსკოვის პირველი არხის კომენტატორმა შევჩენკომ სულ ცოტა ხნის წინათ ასეთი განცხადებაც კი გააკეთა: „ის კარგი იყო(!), რუსეთ-პოლონეთის ომის შედეგად დატყვევებული იმდენი წითელარმიელი შიმშილით რომ დაიღუპა ან კიდევ ქოლერამ შეიწირა?!“*

*ცხადია, ამაში კარგი რა უნდა იყოს, მაგრამ რა მოსატანია იგი კატინის შემზარავ საქმესთან დაკავშირებით!*

კატინი!

პოლონეთში ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომელთა შვილები თუ ნათესავები ასე უაზროდ, ასე სასტიკად დაიღუპნენ.

კატინი რუსებით დასახლებული სოფელია სმოლენსკთან ახლოს. ასევე ქვია იქვე მდებარე ტყეს, სადაც ეს დიდი ტრაგედია მოხდა. ეს ტრაგედია რომ არა, ალბათ არც ამ სოფელსა და არც ამ ტყეს საერთოდ არავინ ახსენებდა...

1943 წლის 13 სექტემბერს გერმანიის რადიოს გადაცემა მოულოდნელა შეწყდა: „ჩვენ მივიღეთ ცნობა სმოლენსკიდან (1943 წლის აპრილისთვის ეს ქალაქი ჯერ კიდევ გერმანელების ხელში იყო – გ.გ.). ადგილობრივმა მცხოვრებლებმა გერმანელ ხელისუფლებს უჩვენეს ადგილი, სადაც ბოლშევიკები მასობრივი განადგურების აქციებს ატარებდნენ. აქ გეპეუ-მ 10 ათასი პოლონელი ოფიცრის ლიკვიდაცია მოახდინა“. ამ ამბავმა ომში მონაწილე ყველა ქვეყანაზე შემაძრწუნებლად იმოქმედა. უკვე ორი დღის შემდეგ მოსკოვმა თავის მხრივ გერმანელები დაადანაშაულა: „გერმანელი ფაშისტი ნაძირალები, რათა თავიანთი ჩადენილი დანაშაული დაფარონ, უსაზიზღრეს სიცრუეს მიმართავენ. ჰიტლერელი მკვლელები ვერ შეძლებენ თავიდან აიცილონ სამართლიანი და მკაცრი შურისძიება თავიანთი სისხლიანი დანაშაულისთვის“. როგორც მოსკოვის რადიო იუწყებოდა, პოლონელებს სმოლენსკის დასავლეთით საამშენებლო სამუშაოები უნდა შეესრულებინათ და რახან ომის დაწყების გამო მათი ევაკუაცია ვერ მოხერხდა, ისინი გერმანელებმა დაატყვევეს და 1941 წლის აგვისტოში დახვრიტეს.

რასაც გერმანელები ამტკიცებდნენ, ამას ხომ დასაბუთება უნდოდა. და აი მათ სპეციალური კომისია ჩამოაყალიბეს სხვადასხვა ეროვნების მედიკოსების შემადგენლობით. კომისიის შემადგენლობაში იყვნენ: ბელგიელი, ბულგარელი, დანიელი, ფინელი, ჰოლანდიელი, უნგრელი, იტალიელი, რუმინელი, შვეიცარიელი, ფრანგი, ჩეხი, სლოვაკი, იუგოსლავიელი სპეციალისტები. ყველა მათგანმა თავზარდამცემი სურათი ნახა: უზარმაზარ ორმოებში ათასობით პოლონელის გვამი ეყარა. ახლა საჭირო იყო გარკვევა, როდის და რატომ დახოცეს ამდენი ადამიანი.

ათასი დეტალის შესწავლის შემდეგ აღადგინეს უდიდესი ტრაგედიის შემზარავი სურათი მართლაცდა არნახული დანაშაულით.

კარგად იყო ცნობილი, რომ 1939 წლის აგვისტოში მოსკოვში დაიდო თავდაუსხმელობის ხელშეკრულება საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის, ე. წ. მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი. მაგრამ მაშინ დასავლეთმა არ იცოდა, რომ პაქტში ერთი საიდუმლო პუნქტიც შედიოდა: ჰიტლერმა და სტალინმა მოილაპარაკეს გერმანიისა და საბჭოთა კავშირის მიერ პოლონეთისა და სხვა აღმოსავლეთევროპული სახელმწიფოების განაწილების შესახებ.

1939 წლის 1 სექტემბრიდან ბევრი რამ გახდა ცნობილი. გერმანიის ჯარები პოლონეთში შეიჭრნენ და ორი კვირის განმავლობაში თითქმის მთელი ქვეყანა დაიპყრეს. პოლონეთის არმიის გადარჩენილი ნაწილები აღმოჩნდნენ რაიონებში, საბჭოთა კავშირს რომ ესაზღვრებოდა. მაშინ საბჭოთა არმიამაც საზღვარი გადალახა (ოფიციალური მოტივი იყო პოლონეთში მცხოვრები უკრაინელებისა და ბელორუსების უფლებების დაცვა) და პოლონეთის არმიის ნაწილები ტყვედ აიყვანა. მათი რიცხვი დაახლოებით 230 ათასი იყო.

5 ოქტომბრისთვის პოლონეთის გაყოფის პროცესი დასრულდა. ტერიტორიის ორი მესამედი გერმანიას დარჩა, ერთი მესამედი კი – საბჭოთა კავშირს. საბჭოთა კავშირში შეიქმნა არაერთი საკონცენტრაციო ბანაკი პოლონელი ტყვეებისთვის. ნოემბრის დასაწყისისათვის სტალინის საიდუმლო ბრძანებით დაიწყო პოლონელი ტყვეების „გადარჩევა“. პირველ რიგში შინსახკომი დაინტერესებული იყო ოფიცრებით. სპეციალურ ბანაკებში დაახლოებით 15 ათასი ოფიცერი მოათავსეს, რომელთა ბედი მოგვიანებით უნდა გადაწყვეტილიყო.




უნდა ითქვას, რომ სტალინს კარგა ხანია ნეგატიური შეხედულება გამოუმუშავდა პოლონეთის მიმართ. ეს დაიწყო 1920 წელს რუსეთ-პოლონეთის ომის წაგების შემდეგ, რომელშიც სტალინიც მონაწილეობდა, როგორც ეგოროვის არმიის პოლიტიკური ხელმძღვანელი. როცა ვარშავის მისადგომებამდე მისულმა ტუხაჩევსკიმ სასტიკი მარცხი იგემა, მან თავი იმით იმართლა, რომ ეგოროვი და ბუდიონი დროზე არ დაეხმარნენ. რაც შეეხება მოლოტოვს, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში მთავრობის თავმჯდომარე იყო, იგი პოლონეთს „ვერსალის ზავის ბუშს“ უწოდებდა, ერთი სიტყვით, არსებობის ღირსად არა თვლიდა.

იყო გეგმა ამ პოლონელი ოფიცრების გამოყენებისა საბჭოთა სისტემის ინტერესების შესაბამისად. მათი იდეოლოგიური დამუშავება იმ მიმართულებით უნდა წარმართულიყო, რომ შეგუებოდნენ პოლონეთის დამოუკიდებლობის დაკარგვას. მაშინ ეს ოფიცრები მოსკოვის მარიონეტებად იქცეოდნენ.

ამ გეგმიდან არაფერი გამოვიდა. მაშინ გადაწყდა მათი მოსპობა. ეს საშინელი ოპერაცია 1940 წლის 3 აპრილს დაიწყო და ხუთ კვირას გასტანა. დახოცეს არა მარტო ისინი, ვინც სმოლენსკის საკონცენტრაციო ბანაკში იმყოფება, არამედ კოზელსკსა და სტარობელსკში განთავსებულებიც. ამის შესახებ დიდხანს საერთოდ არავინ არაფერი იცოდა. არც პოლონეთის არმიის ხელმძღვანელობამ, რომელიც, დაპატიმრებული ლუბიანკაში იმყოფებოდა, არც, ცხადია, პოლონეთის ემიგრირებულმა მთავრობამ ლონდონში.

1941 წლის ივლისში გერმანელები საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე შემოიჭრნენ. ამ მომენტიდან საბჭოთა მთავრობა იძულებული გახდა, ეცნო პოლონეთის დევნილი ხელისუფლება ლონდონში. უფრო მეტიც, გადაწყდა პოლონეთის არმიის ჩამოყალიბება იმ ოფიცერთა და ჯარისკაცთაგან, რომლებიც საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკებში იმყოფებოდნენ. მას სათავეში ჩაუდგებოდა გენერალი ვლადისლავ ანდერსი, რომელიც თვით იყო დაპატიმრებული... ლუბიანკაზე, და აი, როცა მან თავისი არმიის შექმნა დაიწყო, ბევრი ჯარისკაცის შესახებ ცნობები ვერ მიიღო. ზოგზე უთხრეს, რომ ისინი მანჯურიაში გაიქცნენ(?), ზოგზე საერთოდ არაფერი შეატყობინეს. ყოველივე ეს საშინელ ეჭვებს ბადებდა.

სად გაქრა ამდენი ჯარისკაცი? მათი ბედი 1943 წლის აპრილამდე სრულიად გაურკვეველი რჩებოდა.

და აი, გერმანული რადიოს განცხადება და საბჭოთა მხარის აღშფოთებული პასუხი.

გერმანელებს ათი კვირის განმავლობაში ამოჰქონდათ დაღუპულთა გვამები ორმოებიდან. სრულიად აუტანელი სუნი იდგა. რათა მთხრელებს როგორმე გაეძლოთ, ძლიერი თამბაქო დაურიგეს, სულ კატინის ტყეში 4443 გვამს მიაკვლიეს (სხვები სხვაგან დახოცეს, ზოგი კი თეთრ ზღვაში ჩაახრჩეს, ჩაძირეს ორი უზარმაზარი ბარჟა 7000 ოფიცრით). გამოკვლევამ დაადასტურა, რომ გვამები ნამდვილად პოლონელი ოფიცრებისა იყო. მოწმეებად გერმანელებმა ტყვეებიც გამოიყენეს, მათ შორის ამერიკელი პოდპოლკოვნიკი ჯონ ვან ვლაიეტი. მოგვიანებით მან განაცხადა: „მე ეჭვი მქონდა, რომ ეს იყო პროპაგანდისტული ილეთი. გერმანელები მეზიზღებოდა და არ მინდოდა მათთვის დამეჯერებინა, მაგრამ როცა ვნახე მწყობრად, კუნძებივით დაწყობილი გვამები, აზრი შემეცვალა. ომის შემდეგ მოკავშირეებს განვუცხადე, რომ ეს, ჩემი აზრით, საბჭოების გაკეთებული იყო“.

წითელი ჯვრის სპეციალურმა კომისიამ, რომელიც გერმანელებმა ჩამოიყვანეს კატინში, დაადასტურა, რომ მკვლელობა 1940 წლის დასაწყისში უნდა მომხდარიყო, როცა სმოლენსკის ოლქი, ცხადია, საბჭოთა კავშირის გამგებლობის ქვეშ იყო.

ლონდონში მყოფმა პოლონეთის მთავრობამ საერთაშორისო წითელი ჯვრის ორგანიზაციას სთხოვა, ერთხელ კიდევ შეესწავლა კატინის ტყე და იქ მომხდარი ტრაგედია. ამავე დროს საბჭოთა მთავრობასაც მოსთხოვა ოფიციალური პასუხი გაეცა, რა ბედი ეწიათ სამხედრო ტყვეებს. ამის პასუხად 1943 წლის 25 აპრილს საბჭოთა კავშირმა დიპლომატიური კავშირი გაწყვიტა პოლონეთის მთავრობასთან.

საბჭოთა კავშირის მოკავშირეები სულაც არ იყვნენ დაინტერესებულნი პოლონელი ოფიცრების დაღუპვის გახმაურებით. ინგლისის პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი თვლიდა, რომ საბჭოთა კავშირ-პოლონეთის დავაში ნეიტრალური პოზიციის დაკავება სჯობდა. საიდუმლო მიმართვაში იგი სტალინს არწმუნებდა, რომ ყველაფერს გააკეთებდა, რათა კატინის ირგვლივ სკანდალი მიჩუმებულიყო, პოლონეთის მთავრობის თავმჯდომარე გენერალ სტანისლავ სიკორსკის კი რჩევა მიეცა, ნუ გაირთულებ შენს მდგომარეობას, სულერთია დაღუპულებს მაინც ველარ გააცოცხლებო. ცოტა ხნის შემდეგ თვით სიკორსკიც გიბრალტართან მომხდარ ავტოკატასტროფაში დაიღუპა.

1943 წლის სექტემბერში საბჭოთა ჯარებმა სმოლენსკი დაიკავეს. მოსკოვში მყოფ საზღვარგარეთელ ჟურნალისტებს უკვირდათ, რატომ არაფერს ეუბნებოდა მათ საბჭოთა მხარე კატინის საქმის შესახებ. ბოლოს, 15 იანვარს მათ უთხრეს, რომ საბჭოთა კომისიასთან ერთად შეეძლოთ სმოლენსკში გამგზავრებულიყვნენ. აქ მართლაც ჩავიდა 20 ჟურნალისტი, მათ შორის ახალგაზრდა ქალი კეტი ჰარიმანი, მოსკოვში აშშ-ის ყოფილი ელჩის ავერელ ჰარიმანის ქალიშვილი. ჟურნალისტებს რამდენიმე ასეული ახლად ეკსგუმირებული გვამი უჩვენეს. ისინი გაეცნენ საბჭოთა კომისიის შემადგენლობასაც. აქ შედიოდნენ საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის დაცვის კომისარიატის ხელმძღვანელი და სასამართლო მედიცინის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი პროზოროვსკი, მოსკოვის სამედიცინო ინსტიტუტის სასამართლო მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, დოქტორი სმოლიანინოვი, ჯანდაცვის კომისარიატთან არსებული სასამართლო მედიცინის ინსტიტუტის სანატოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, პათოლოგოანატომიის პროფესორი ვოროპაევი, სასამართლო სასამართლო ქიმიური მედიცინის განყოფილების გამგე, პროფესორი სტავაიკოვა, პროფესორის ასისტენტი შვაიკოვა, კომისიაში კიდევ 8 კაცი შედიოდა: აკადემიკოსი ბურდენკო, მწერალი ალექსეი ტოლსტოი, მოსკოვის მიტროპოლიტი ნიკოლოზი, განათლების მინისტრი პოტიომკინი, რომლებსაც კომისიისათვის მეტი „რესპექტაბელობა“ უნდა მიეცათ.

კომისიის დასკვნით, საბჭოთა კავშირის მონაწილეობა ესოდენ შემზარავ საქმეში სრულიად გამორიცხული იყო. მისი შედეგების გამოქვეყნების შემდეგ თითქოს საქმეც დაიხურა, მით უმეტეს, რომ ამერიკელმა ჟურნალისტებმა, რომლებიც კატინში იმყოფებოდნენ, ყველაფერში გერმანელები დაადანაშაულეს.

კატინის მასობრივი სასაფლაოების მთელი ომისშემდგომი პერიოდის მანძილზე მძიმე დაღად დაეტყო საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ურთიერთობას. საბჭოთა პრესა რაღას დაწერდა, თუმცა პოლონეთში კი სისტემატურად ქვეყნდებოდა ცნობები იმათ შესახებ, ვინც სასწაულებრივად გადაურჩა ტყვეობას. კოლიმა რომ კოლიმაა, იქაც აღმოჩნდნენ პატიმარი პოლონელები, რომლებიც ოქროს საბადოებზე და აეროდრომის მშენებლობაზე მუშაობდნენ. იმ 15 ათასი ოფიცრიდან, რომლებიც საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკებში აღმოჩნდნენ, თურმე სულ 400 კაცი გადარჩა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის მთავრობამ გამოაქვეყნა საიდუმლო არქივების მასალები და აღიარა ის, რაც 60 წელი იმალებოდა – პოლონელი ოფიცრები კატინში შინსახკომმა მოსკოვიდან პირდაპირი მითითების შემდეგ დახვრიტა.



**გივი გამრეკელი**

## ◎ თვალსაზრისი

***რატომ ვართ გამუდმებით საომარ სიტუაციაში? რატომ ვერ მოხერხდა ოსურ და აფხაზურ მხარეებთან კონსენსუსი? — ექსპერტი პაატა კაციტაძე ფიქრობს, რომ საკითხი საფუძვლიან ანალიზს საჭიროებს. კომუნისტურ ეპოქაში ჩამოყალიბდა ასეთი მენტალობა: ჩვენი საზოგადოება და სოციუმი პრობლემების კონსენსუსით გადაწყვეტაზე არ იყო ორიენტირებული. გავრცელებული იყო აზრი, თუ ვინმე შემიძლია დავჩაგრო ან ვინმეს რაღაც წავართვა, რატომ უნდა შევუთანხმდე?***

— დღესაც ასეთი მენტალობაა. ხშირად გაიგონებთ, რუსეთს ან ამერიკის შეერთებულ შტატებს შეუძლიათ ვიღაცას რაღაც წაართვან და რატომ არ აკეთებენ? ანუ ეს საზოგადოება ორიენტირებულია არა ურთიერთშეთანხმების კულტურაზე, არამედ ურთიერთდაპირისპირებაზე — მეორე მხარის მიერ ძალით თავს მოხვეულ შეხედულებებზე.

საუბედუროდ, ისე აღმოჩნდა, რომ მხარეებს, რომლებიც გვიპირისპირდებოდნენ — ოსებს, აფხაზებს, რუსებს კონსენსუსი კი არ სურდათ, არამედ — პრობლემის ძალით გადაწყვეტა. მთავარი ის იყო, რომელი უფრო მეტ და ღონიერ ძალას იპოვიდა, და ამან, საერთო ჯამში, სიგიჟის სახე მიიღო.

ორივე მხარემ მფარველის ძიება დაიწყო. ჩვენ დასავლეთს მივმართეთ, იმათ — რუსეთს. სავალალო ის იყო, რომ ორივე მხარეს მყოფ საზოგადოებას აზრად არ მოსდიოდა ამ კონფლიქტის არაძალისმიერად გადაწყვეტა.

მოდით, გულწრფელად ვაღიაროთ, ამისთვის არც არაფერი გაკეთებულა არა მარტო სეპარატისტების, არამედ ჩვენი მხრიდანაც, ერთის გარდა — ზვიად გამსახურდიას მეთაურობით ეროვნული მთავრობის მიერ აფხაზების საარჩევნო კანონის მიღებისა.

**— მაშინ კონფლიქტის თავიდან აცილება მოხერხდა...**

— მაშინ უსისხლოდ და სხვა მძაფრი დაპირისპირების განვითარების გარეშე მოგვარდა აფხაზური პრობლემა. საარჩევნო კანონი გარკვეული კვოტების პრინციპს ითვალისწინებდა. კერძოდ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში ეყოლებოდა 65 დეპუტატი, მათ შორის — 28 აფხაზი, 26 — ქართველი და 11 — სხვა დანარჩენი ეროვნებისა. მიღწეული შეთანხმების თანახმად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ქართველი იყო. და რაც მთავარია, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მოქმედ კონსტიტუციაში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ხმების 2/3-ით უნდა მიღებულიყო.

იურიდიულად რომ კონსტიტუციური სტატუსის შეცვლა და აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობიდან გასვლა მოენდომებინათ, ამას სათანადო ლეგიტიმური აქტი სჭირდებოდა, მათ კონსტიტუციაში უნდა ჩაწერილიყო, რომ აფხაზეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოა, რასაც, ბუნებრივია, ხმების 2/3-ის და ქართული მხარის თანხმობის გარეშე ვერ შეძლებდნენ.

გამსახურდიას დამხობის შემდეგ მიიღეს ყოვლად ფსიქოპათიური გადაწყვეტილება, რაც არსებითად ირაკლი წერეთლის „დამსახურებაა." გაუქმდა საქართველოს კონსტიტუცია, რომლის თანახმადაც აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა. აფხაზეთის სტატუსი ცალკე განისაზღვრა. როცა წინა კონსტიტუციით ეს სტატუსი უკვე განსაზღვრული იყო. ამით მეორე მხარეს თავად მივეცით სხვანაირი სამართლებრივი და პოლიტიკური მოქმედებების დაწყების უფლება.

რა უფლება ჰქონდა სპორტის სასახლეში შეკრებილ რამდენიმე ასეულ პირს რაღაც კონსტიტუციური ცვლილებებისა, ანუ ეს იურიდიულად პირველებმა ჩვენვე დავარღვიეთ. ქართულმა ფრაქციამ ისიც კი ვერ მოახერხა, ქართველი პრემიერ-მინისტრი აერჩია და, ფაქტობრივად, ეს პროცესი ჩაიშალა.



# კონფლიქტების მოგვარების თვალსაზრისით დღეს სრული უკუსვლაა

**— უნდა ითქვას, რომ კონფლიქტებს სსრ კავშირის დაშლამაც შეუწყო ხელი...**

— იმანაც, რომ არა მხოლოდ სსრკ დაიშალა, არამედ — დიდად მნიშვნელოვანი გლობალური ძვრები მოხდა, გარდამავალი ეპოქა იყო. ჩინეთი მსოფლიო მნიშვნელობის სახელმწიფოდ გადაიქცა, ინდოეთიც ამ გზით მიდის.

კომუნისტური სისტემის მსხვრევა, გლობალიზაცია, — ეს ყველაფერი ერთმანეთს დაემთხვა და, საერთო ჯამში, მტკივნეული პროცესები მივიღეთ.

ამას დაერთო რუსეთის ფაქტორიც, რომელიც ძალიან იმპულსურად მოქმედებდა. და ბოლო წვეთი ის იყო, რომ საქართველოს არათუ ამ კონფლიქტების გადაწყვეტის, არამედ, საერთოდ, ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის თვალსაზრისით, თუ რა არის ჩვენი ინტერესი ბოლო 30 წლის მანძილზე, ერთხელაც არ ჩამოუყალიბებია. დამისახელეთ თუნდაც ერთი დოკუმენტი, სადაც განსაზღვრულია, რა სახელმწიფოა საქართველო. ავიღოთ კონსტიტუცია, ამ თვალსაზრისითაც ტრაგიკომიკური სურათია.

საუბედუროდ, არ ვიცით, როგორი საქართველო გვინდა. არის რაიმე საზოგადოებრივი შეთანხმება რაღაც ფორმით გამოხატული? ანდა, პოლიტიკური პარტიები შეკრებილან და უთქვამთ, როგორ წარმოუდგენიათ შიდასახელმწიფოებრივი მოწყობა? ასეთი რამ არ არსებობს.

საქართველო, ალბათ, ერთადერთი სახელმწიფოა, რომლის შიდაპოლიტიკური მოწყობა კონსტიტუციით არ არის განსაზღვრული, ანუ არ არის გარკვეული, ვინ არიან შიდაპოლიტიკური მოწყობის სუბიექტები — მხარეები, რაიონები... რა ვართ-უნიტარული სახელმწიფო, ფედერაციული თუ რაღაც შუალედური — ასიმეტრია.

არც კონცეფცია არსებობს, თუ როგორ უნდა წარვმართოთ საშინაო თუ საგარეო პოლიტიკა ეს ყველაფერი ქაოტური და იმპულსურია.

ამას ემატება ცალკეული პოლიტიკოსების ამბიციები. იმის გამო, რომ საზოგადოება არ იყო კონსენსუსზე ორიენტირებული, ვინც უფრო ხმამაღლა იყვირებდა — მტერი, მტერიო, მას ჰქონდა გარანტირებული პოლიტიკური მხარდაჭერა.

**— ამ ყველაფერმა იქამდე მიგვიყვანა, რომ უკვე 30 წელიწადია, ნორმალურ სიტუაციაში არ ვცხოვრობთ, არამედ - საომარ მდგომარეობაში ვართ. და ყველაზე მძიმე გახლავთ ის, რომ მთელი თაობა ისტერიაში გაიზარდა...**

— ჩვენზე უარეს დღეშიც არიან...თუნდაც ავღანეთში. იქ ერთმანეთთან პირდაპირ, ფიზიკურად ომობენ. თქვენ ისტერია ახსენეთ. წაგებული ომი ბუნებრივად ბადებს რევანშის მოთხოვნილებას.

მთელი მე-19 საუკუნის ბოლო მეოთხედი საფრანგეთისთვის ისტერიული იყო. ყველაფერი ელზასისა და ლოტარინგიის დაბრუნების ამოცანას ემსახურებოდა, რასაც მოჰყვა პირველი მსოფლიო ომი. და შემდეგ ამ ომის შედეგები მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა მეორე მსოფლიო ომის განვითარებაში.

ასე რომ, ამ მხრივ გამონაკლისი არ ვართ. მაგრამ ახლა 21-ე საუკუნეა და არა — მე-19.

**— 90-იან წლებში ეროვნულმა ხელისუფლებამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, გაუქმდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. საბჭოთა კავშირი დაიშალა, მაგრამ თითქოს მძევლად კონფლიქტები დაგვიტოვა. რამდენად მართებული იყო ოლქის გაუქმება, ამით თავადვე ხომ არ შევქმენით ბარიერი?**

— საბჭოთა კავშირი ყველა ვარიანტში დაიშლებოდა და დამოუკიდებლობას მივიღებდით, რადგან ეს ისტორიულმა განვითარებამ მოიტანა. ვისაც ჰგონია, რომ არაფერი არ უნდა გვეკეთებინა და გვეცადა, როდის დაიშლებოდა საბჭოთა კავშირი, ასე მსჯელობა უმართებულოა. არავის რომ არაფერი ეკეთებინა, არც დაიშლებოდა სსრკ. უბრალოდ, გონივრული, გათვლილი და რაციონალური მოქმედება იყო საჭირო.

მაშინ, ეროვნული ხელისუფლების დროს, ქვეყნის შიგნით თუ გარეთ ელემენტარულ გამოუცდელობასთან გვქონდა საქმე. უკვე ოცი წელიწადია დამოუკიდებელი სახელმწიფო ვართ და ელემენტარული გამოცდილება ვერ მივიღეთ. მაშინაც ჩაქრა ეს კონფლიქტი, მაგრამ შემდეგ არაფერი აღარ მოიმოქმედეს მოსაგვარებლად.

კონფლიქტის გაყინვა გადაწყვეტას არ ნიშნავს, რადგან გაყინული კონფლიქტი შესაძლებელია ყოველ წუთს განახლდეს.

**— გამოდის, რომ უარესობისკენ წავედით...**

— რასაკვირველია, ასეა. დღევანდელი ვითარება 1991 წლის 9 აპრილისას რომ შევადაროთ, როდესაც დამოუკიდებლობა გამოცხადდა, კონფლიქტების მოგვარების თვალსაზრისით სრული უკუსვლაა.

**— მაინც რა არის ამის მიზეზი? გაუთავებლად გვესმის, რომ კონფლიქტები უნდა მოგვარდეს, უამრავი დოკუმენტი იქმნება, შედეგი კი ისევ და ისევ არ ჩანს...**

— არც ერთი ასეთი სერიოზული დოკუმენტი არ მინახავს. არ ვგულისხმობ გაეროს რეზოლუციებს, სადაც მხარეებს მოუწოდებენ, კონფლიქტი არ განაახლონ.

ჩვენი საზოგადოება კონფლიქტების თემას ძალიან ტრაგიკულად აღიქვამს, რაც ხელისუფლებისა და მედიის ბრალია. სამწუხაროდ, საზოგადოება სტატუს - კვოს ცვლილებებს არ თანხმდება, იმაზეც კი არ მიდის, ცხინვალი ოლქის სახით არსებობდეს, ე.ი. არათუ კონფედერაციაზეა საუბარი, ფედერაციაზეც კი არაა საზოგადოების მზაობა. იქითა მხარეზე ხომ აღარაფერს ვამბობ.

ჩვენ სასწაულის მოხდენას ვაპირებთ. წარმოუდგენელია, ოთხი ომის წაგების შემდეგ ის შედეგი მივიღოთ, რასაც 4 ომის მოგება მოგვცემდა.

ომში მარცხს ცუდი შედეგი რომ მოსდევს, ეს უნდა გაითვალისწინოს საზოგადოებამ. სამწუხაროა, მაგრამ ოთხი წაგებული ომის შემდეგ პირველი ომის წინანდელ მდგომარეობას ვერ დაუბრუნდები. სამწუხაროა, მაგრამ ასეა.

არასწორია ისიც, რომ იჯდე და რუსეთის დაშლას ელოდო. რომ არ დაიშალოს, მერე რას აპირებ? ამიტომ უპირველესად, არა აფხაზებმა ან რუსებმა, არამედ ჩვენმა მხარემ უნდა გავარკვიოთ, რა ტიპის სახელმწიფოს ვაშენებთ.

**— ასეთ ვითარებაში მოსალოდნელია თუ არა დანარჩენი ტერიტორიების დაკარგვის საშიშროება?**

— რასაკვირველია, მოსალოდნელია. როდესაც არ განგისაზღვრავს, როგორ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდები, ტერიტორიებს ყოველთვის დაკარგავ. სამწუხაროდ, ამ [illegible] ერევიან.

ისმის კითხვა: როგორი სახელმწიფო ვართ, სახელმწიფო, რომელიც 13 მარტის მსგავს მოვლენებს აწყობს? და ამ ხელისუფლების პირობებში რომ ქაოტური დარღვევის პროცესები განვითარდეს, გაგიკვირდებათ?

**- რა უნდა გაკეთდეს, ცოტა წინ რომ წავიწიოთ?**

— კიდევ გავიმეორებ: უნდა გაირკვეს — ჩვენ თავად საქართველოს შიგნით როგორი სახელმწიფოს აშენებას ვაპირებთ. სანამ ამაზე არ შეთანხმდება მთელი საზოგადოება, მანამდე სხვა არაფერზე საუბარს აზრი არ აქვს.

დაიწყება მოლაპარაკება, ვიღაც აყვირდება — ეს ფედერაციააო, მერე რაღაც დაიწყება, უი, ეს კონფედერაციააო. მოლაპარაკებების მაგივრად ერთმანეთს იარლიყებს ვაწებებთ. იარლიყების მიწებება კი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოიხსნება, თუ მთელი საზოგადოება შეთანხმდება, რა გვინდა.

მთავარი ისაა, რომ ყველა ხელისუფლება ხალხს ატყუებდა, ეროვნულ ხელისუფლებას არ ვგულისხმობ, რომლის დროსაც კონფლიქტები დაიწყო და ძალიან მალე დამთავრდა ეს ხელისუფლება.

შევარდნაძეც და სააკაშვილიც ხალხს ატყუებდნენ სამი ძირითადი ასპექტით და ხალხიც გულუბრყვილოდ იჯერებდა ამას. სამწუხაროდ, დღესაც სჯერათ.

ეს ასპექტებია: ვითომ კონფლიქტი ძალიან მოკლე დროში მოგვარდებოდა;

კონფლიქტი იარაღის ძალით გადაწყდებოდა; ამაში კი ნატო და ამერიკის შეერთებული შტატები დაგვეხმარებოდაო.

**ნატოს და ამერიკას არასოდეს უთქვამს, რომ კონფლიქტის სამხედრო გადაწყვეტა მათთვის მისაღებია, მით უფრო ვერ დაგვეხმარება. ეს ჩვენი ხელისუფლების ამაზრზენი პიარი იყო. სარგებლობდნენ იმით, რომ ტელეარხებს აკონტროლებდნენ და უსინდისოდ ატყუებდნენ ხალხს.** სხვათა შორის, მარტო პოლიტიკოსების კი არა, ჟურნალისტების მორალური პასუხისმგებლობაც უნდა დაისვას.

თითქოს, რაღაც უხილავ ჯარს ვქმნიდით. ვინც სამხედრო საქმეში ვერკვეოდით, ყველანი ვწერდით, რომ ეს სიგიჟე და არასწორი სამხედრო აღმშენებლობა იყო. ახლა, ვფიქრობ, გვიანია თითზე კბენანი.

არსებობს სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები, სადაც რესპოდენტების 80-81 პროცენტი დარწმუნებული იყო, რომ რუსეთს ომში დავამარცხებდით. ეს იყო სწორედ „რუსთავების," „იმედების" და საზოგადოებრივი ტელევიზიის ბრალი. ამიტომ შოკიც მეტი იყო.

ზემოთქმულიდან უნდა დავასკვნათ: **ჩვენ არ ვაღიარებდით და დღესაც არ ვცნობთ მეორე მხარის არსებობას, ანუ აფხაზები და ოსები საკუთარი ინტერესების მქონე ძალად არ მიგვაჩნია, რადგან ისინი რუსის პირდაპირი მარიონეტები არიან, რაც უმართებულოა;**

**კონფლიქტს არა აქვს არავითარი სამხედრო გადაწყვეტა, ეს არ იქნება მოკლევადიანი. ნაბიჯ-ნაბიჯ არის გასავლელი, და მესამე ძალა — ნატო იქნება, რუსეთი თუ ამერიკა, მხოლოდ შუამავალი შეიძლება იყოს.**

**ესაუბრა**
**თამარ შაიშმელაშვილი**

## ◎ კეთილი სიტყვა პროფესიონალებზე

# როცა სტომატოლოგთან მიუხარიათ

**ჩემს შორეულ ბავშვობაში კბილის ექიმისა და ბორმანქანის ხსენებაზე ფერ-ფური მიმდიოდა და მაშინ, რა თქმა უნდა, ვერ წარმოვიდგენდი, რომ დიდი ხნის მერე სწორედ ერთი ჩინებული სტომატოლოგი გამიხდებოდა წლების სიგრძეზე კეთილ შემწედ და იმისი მადლიანი ხელის წყალობით იქნებოდა, რომ ახლა, სიბერეში, საჭმელს ნორმალურად მივირთმევ (მაპატიეთ პროზაული წიაღსვლა)...**

ზურაბ კუპრაშვილზე მოგახსენებთ, რომელიც დიღმის მასივის V კვარტალის I კორპუსში განთავსებულ სუფთა, მყუდრო კაბინეტში დაგხვდებათ ყურადღებიანი და გულისხმიერი მკურნალის სახით ასეთივე თანაშემწესთან ეკა ებიტაშვილთან ერთად.

ეს ჩვენი მცირე საუბარი ერთ-ერთი ჩემი სამკურნალო სეანსის დროს შედგა და ეგებ მკითხველისთვისაც იყოს საგულისყურო.

**— ზურაბ, რა სიახლეებზე შეიძლება ლაპარაკი პროთეზირებაში, „საკბილო" ტექნოლოგიებში?**

— ელასტიკურ პროთეზებს ვაკეთებთ, კერამიკულ კბილებს ვაკეთებთ უკარკასოდ. ადრე თუ მხოლოდ რუსეთში დამზადებული ხელოვნური კბილებითა და პროთეზებით ვმუშაობდი, ახლა ფართო არჩევანია: თურქული, გერმანული, იტალიური — ისეთივე მაღალი საიმედოობით, როგორიც რუსულია.

**— ვიცი, როგორი ხელმარჯვე სპეციალისტიცა ხარ, როგორი პროფესიონალი... ცხოვრებაში? რა არის შენთვის ცხოვრებაში ყველაზე წმინდა?**

— ოჯახი, რასაკვირველია.

**— მაშინ წარმოადგინე კიდევაც...**

— მეუღლე ლალი ჯანელიძე ნეონატოლოგია (ჩვილთა ექიმი). ქალიშვილი სოფო, ინგლისური ენის სპეციალისტი, უკვე ორი შვილის დედაა: ოთხ-ნახევარი წლის გურამი (გუგა) და წლინახევრის ზურაბი ბაბუების სეხნიები არიან — ჩემი მძახალი გურამ აბსანძე გახლავთ.

ვაჟი, ბაჩანა კუპრაშვილი, თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტია, იშვიათ პროფესიას ეუფლება — იაპონურ ენას, იაპონიათმცოდნეობას.

**— მშვიდობა ნუ მოშლოდეს ასეთ შესანიშნავ ოჯახს!..**

ჩვენს საუბარს კიდევ ერთი პაციენტი შეესწრო და რომ გაიგო მადლიერების წერილს „საქართველოს რესპუბლიკისთვის" ვამზადებდი, ბოდიშის მოხდით ჩაგვერია:

— მუსიკის პედაგოგი ვარ, ნათელა ბექაური, თქვენი გაზეთის სისტემატური მკითხველი. ჩართეთ ჩემი მადლობაც: — შეიძლება, სტომატოლოგთან რომ გიხაროდეს მისვლა? ზურაბი ექიმი გამონაკლისია და იცით, რა საყვარელია? — ვიცი... — ტკბილი ენითაც რომ შეუძლია მორჩენა, ისეთი. პაციენტებს მარტო მკურნალობს კი არა — დაურეკავს, მოიკითხავს, გაამხნევებს, დააიმედებს...

— უკვე ჩართული ხართ, ქალბატონო ნათელა...

**თამაზ ებანოიძე.**



**სურათზე:** ზურაბ კუპრაშვილი ოჯახის წევრებთან ერთად.

**მ. ალაშვილის ფოტო**

◎ განგაში

*მოგეხსენებათ, შუა საუკუნეებში იყო ასეთი კაცი: მეკობრე, ქურდი, მკვლელი და ყაჩაღი, პედოფილი, მამათმავალიც და მექალთანეც, უგარყვნილესი სექსუალური მანიაკი. ამდენი „ღირსების" მიუხედავად, რაღაც მანქანებით, იგი, ბალთაზარ კოსა, არც მეტი, არც ნაკლები, რომის პაპი გახდა, ანუ, ღმერთის მოადგილე მიწაზე და კათოლიკური სამყაროს სულიერი მამა.*

*იოანე 23-ე — ამ სახელით ავიდა იგი პაპის ტახტზე, სადაც მისმა გარყვნილების ნიჭმა უსაზღვრო ასპარეზი შეიძინა — დედათა მონასტრები ლამის საკუთარ ჰარამხანებად აქცია. მაგრამ ეგ კიდევ არაფერი — ჯერ საკუთარ შვილთან გაიყო სარეცელი, ხოლო მოგვიანებით ამ „სიყვარულის" ნაყოფი, ანუ მცირეწლოვანი შვილიშვილიც ჩაიგორა ლოგინში.*

# ბალთაზარ კოსას აჩრდილი,

## ანუ რომელი კარიდან აპირებს შემოჭრომას უბედურება?

ამ ხორცშესხმული სატანის ბოგინის აღკვეთის შემდეგ ვატიკანში გადაწყვიტეს, რომ იოანე 23-ეს სახელიც კი ამოეშალათ პაპობის ისტორიიდან, ანუ იოანე 22-ეზე გააჩერეს ისტორია და საუკუნეების განმავლობაში იოანეს სახელით პაპი აღარ ჰყოლიათ. მხოლოდ გასულ საუკუნეში ავიდა რომის პაპის ტახტზე ადამიანი, რომელმაც, ბალთაზარ კოსას მსგავსად, იოანე 23-ე დაირქვა, რითაც კათოლიკურმა სამყარომ კიდევ ერთხელ სცადა ბალთაზარ კოსას სირცხვილისაგან დისტანცირება, მისი სამარცხვინო სახელის წაშლა ისტორიის ანალებიდან, მაგრამ როგორც ერთ ქართულ ფილმშია,

### აქედან ვერ წაშლი!



**ბევრი მკითხველი, ალბათ, ვერ გარკვეულა, რაში დამჭირდა ასეთი ვრცელი ისტორიული ექსკურსი, ან საერთოდ, რა თავში ვიხლით ქართველები ბალთაზარ კოსას, რა, საფიქრალ-სადარდებელი სხვა არაფერი გვაქვს ამ დაქცეულ-დაშლილი ქვეყნის შვილებს?**

საქმე ის გახლავთ, რომ მთელი თვეა, რაც ევროპა-ამერიკა კათოლიკე მღვდლების, ეპისკოპოსების პედოფილობის სკანდალშია გახვეული. ამაზე წერს მთელი დასავლური პრესა და მაუწყებლობენ ტელევიზიები, რაზეც ბოლო დრომდე სიტყვა არ დასცდენიათ ქართულ ტელევიზიებს. თუ რატომ, ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ქვემოთ შევეცდები და მკითხველიც მიხვდება, რომ ტყუილად არ მოვიხმე ბალთაზარ კოსას საზიზღარი აჩრდილი, რადგანაც ის, რაც კათოლიკურ სამყაროში ხდება, ჩვენც გვეხება, მართალია ირიბად, მაგრამ მაინც.

ყველაფერი ირლანდიაში დაიწყო, სადაც ამ 30-40 წლის წინათ, საკვირაო სკოლების ყოფილმა მოსწავლეებმა, კათოლიკური ეკლესიების მგალობელთა გუნდების ბავშვებმა თუ სხვა, კათოლიკური ეკლესიის პატრონატით არსებული თავშესაფრების ბინადარმა ყმაწვილებმა, დღეს უკვე ზრდასრულმა მამაკაცებმა, გაახმიანეს სექსუალური ძალადობის ფაქტები, რასაც მათ მიმართ სჩადიოდნენ კათოლიკე პადრები თუ ეპისკოპოსები.

ირლანდიაში დაწყებული პედოფილური სკანდალი, რომელშიც ასზე მეტი სასულიერო პირი ამხილეს, ე.წ. დომინოს პრინციპით განვითარდა და იგივე თემაზე დაიწყეს საუბარი ავსტრიაშიც, შვეიცარიაშიც, გერმანიაშიც, ჰოლანდიაშიც და ა.შ. ხოლო აშშ-ის ვისკონსინის შტატის ეპისკოპოსი მიორფი 1950-70 წლებში 200-მდე ყრუ-მუნჯი ბავშვის გახრწნაში ამხილეს და თავის დროზე მხოლოდ დღევანდელი პაპის ბენედიქტე XVI მეცადინეობით გადაურჩა სასჯელს. პონტიფიკის თქმით, თანამედროვე ამერიკელი ბალთაზარ კოსა „ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო" დაინდეს, რაც, დამეთანხმებით, უსუსური არგუმენტია, მაგრამ, როგორც ირკვევა („ნიუ-იორკ ტაიმსის" ინფორმაციით) საქმე გაცილებით მძიმედ ყოფილა — ვისკონსინის ეპისკოპოსი საეკლესიო შემოწირულობების, თანხების მოზიდვის დიდოსტატიც ყოფილა და სწორედ ამიტომ, მერკანტილიზმის გამო, დაუფარებია მისთვის ხელი მაშინ კარდინალსა და დღეს რომის პაპს ბენედიქტეს.

ისე, ცნობისთვის, ამ სკანდალში რომის პაპის ძმაც ყოფილა გარეული — როგორც მინიმუმ, ამ ყველაფრის საქმის კურსში მყოფი და არგანმცხადებელი — გერმანიაში მოღვაწე კარდინალი გეორგ რაცინგერი.

### რატომ აღმოჩნდა ეს სკანდალი „მიშავიზიების" ყურადღების მიღმა?

**აი, მთავარი კითხვა, რამაც ამ წერილის მომზადება გადამაწყვეტინა, თორემ ვატიკანის მფარველობის ქვეშ მყოფ პედოფილებს თავშიც ქვა უხლიათ.**

და ეს მაშინ, როდესაც „მიშავიზიები" გაფაციცებულები არიან, თუ რუსეთში რამე ისეთი მოხდება, რასაც საკუთარი პროპაგანდისთვის გამოიყენებენ. მაგალითად ისიც კმარა, თუ როგორ გაუშვეს ნაციონალურმა არხებმა ე.წ. „მოდელირებული ქრონიკის" შემდეგ პირველ ნიუსად იმის დამადასტურებელი კადრები, როგორ ჩაგრავენ სოჭის ოლიმპიური ობიექტების მშენებლებს, რომლებსაც თურმე რამდენიმე თვის ხელფასი არ აუღიათ.

პასუხი მარტივია — „მიშავიზიებს" ევროპა-ამერიკის პედოფილურ სკანდალზე რომ ჯეროვანი ყურადღება გაემახვილებინათ, ეს კიდევ ერთი დარტყმა იქნებოდა, უფრო მეტიც, ჩვენში საფუძვლიანად შერყეული ე.წ. დასავლური ღირებულებების ვირტუალურ კუბოში ჩაჭედებული ერთ-ერთი ბოლო ლურსმანი იქნებოდა!

გიგი თევზაძეს, ნოდარ ლადარიას და სხვა ე.წ. ლიბერალური დემოკრატიით მოწამლულ ნაციდეოლოგებს რომ ჰკითხო, ჩვენ, ჩამორჩენილ, სსრკ-ს მენტალიტეტიდან ვერგანთავისუფლებულ „გრუზინებს" (ასე გვიწოდა გიგი თევზაძემ) კათოლიკე აპრიორი სატანისტი გვგონია.

არა, ბატონო თევზაძეებო და ლადარიებო! ვისაც გინდათ, იმას ჩაეხუტეთ, მაგრამ ჩვენ, „გრუზინებს" კი არ გვგონია, დარწმუნებულები ვართ, რომ ერთადერთი ჭეშმარიტი რელიგია მართლმადიდებელი ქრისტიანობაა!

თავი რომ დავანებოთ ზემოხსენებულ სკანდალს, კათოლიკური მოძღვრება თუნდაც იმით არის ქართველებისთვის მიუღებელი, რომ იქ ბიძაშვილ-მამიდაშვილ-დეიდაშვილებში ქორწინება, ანუ სისხლის აღრევა ნორმაა. აღარაფერს ვიტყვი „წმინდა ინკვიზიციაზე", რომლის კოცონებზე საუკუნეების განმავლობაში იწვოდა საღი აზრი „განათლებული" დასავლეთისა. აქედან იშვა ალბათ ირონიულ-ფრთიანი ნათქვამი — „როდესაც ინკვიზიციის კოცონი ქრება, კაცობრიობა წყვდიადშია!"

ყოველივე ზემოთქმულს, ერთი შეხედვით, არანაირი კავშირი არ შეიძლება ჰქონდეს მათიას იორშის ამასწინანდელ ვიზიტთან, მაგრამ მე რაღაც ირიბი შეხება მაინც დავინახე, რის შესახებც ქვემოთ ვისაუბრებ, ანუ

იხ. 11 გვ.



◎ ევროატლანტმშენებლობა

# მეცხრე ციდან...

ამ დღეებში რომელიღაც უცხოურ ტელესერიალში, რომელიღაც შეყვარებულმა ქალბატონმა მეგობართან წაიტრაბახა: იცი, ლილიანა, გუშინ რიკარდომ სასწაულებრივი სიურპრიზი მომიწყო. რესტორანში, სადაც დაუვიწყარი საღამო გავატარეთ, იმდენი მეალერსა და მეფერა, ისეთი ქათინაურებით შემამკო, თავი მეცხრე ცაზე მეგონაო. უბედნიერესი ქალი ხარო, ვერ დამალა შურნარევი აღფრთოვანება მეგობარმა. ჰო, მაგრამ იქიდან ჩამოსვლა ძალიან გამიჭირდაო, დაიწუწუნა მარიანამ, ცხრა დღე და ღამე ვიყავი დაკიდებული თოკით, ვიდრე მიწამდე ჩამოვაღწევდიო.

ეს რომ მოვისმინე, ჩვენი მიწყივ ქარიზმატული პრეზიდენტი სააკაშვილი გამახსენდა. აბა ერთი წუთით წარმოიდგინეთ თავი მის ადგილზე. უკვე რამდენი წელიწადია მეცხრე ცაზეა გამოკიდებული და დღემდე ერთი სასაყვედურო სიტყვაც არ დასცდენია. ისე ააშენა და დაამშვენა საჭურის ალამაჰ მადხანისგან ფერფლადქცეული თბილის-ქალაქი, ისე აქცია საქართველო მსოფლიოში ლიბერალური რეფორმებისა და დემოკრატიის მბრწყინავ შუქურად, რომ მეცხრე ციდან არასდროს ჩამოქვეითებულა, მშობლიური ქვეყნის მიწაზე ფეხი ერთხელაც არ დაუდგამს.

უმადლოდეს მაინც ვინმე ამ გაუგონარ აღმშენებლობას. კარგი ჰო, ვიღაცა ხარ, ოპოზიციონერი თუ რუსეთისგან მოსყიდული, პრეზიდენტისთვის აღმაშენებლის სახელი თუ არ გემეტება, ქვეყნის დამაქცევარს მაინც ნუ დაარქმევ, მტკვარზე მშენებარე „შუშის ხიდი" თუ არ გევასება, რომლის ნახევარგახსნა უკვე მოასწრო სააკაშვილმა, შე მამაცხონებულო, ნუღარ იგინები მაინც და ნუ ჯაჯღანებ: რად გვინდოდა ეს რაღაც „პეპელა ხიდი", რომელიც თბილისის არქიტექტურაში საერთოდ ვერ ჯდება და მთელი ქალაქი დაგვიმახინჯაო. რატომ არ გინდა, გაიგო, რომ თბილისისაში თუ ვერ ჯდება, სამაგიეროდ, ევროატლანტიკურ არქიტექტურაში შესანიშნავად ჯდება, რაც ჩვენს დედაქალაქს ცივილიზებული მსოფლიოს თვალში ულტრათანამედროვეობის ხიბლს მატებს.

ამას გააგებინებ ვინმეს?!

მახსოვს ერთ დროს რა ყაყანგნიასი იყო თბილისის აეროპორტის ახალ ნაგებობაზეც, მაგრამ გამოხდა ხანი და ყველაფერი „გაიასნდა". მას შემდეგ, რაც ქარმა აეროპორტს სახურავი რამდენჯერმე მოსტაცა, ხოლო დარბაზში წვიმის გუბეები დადგა, ხალხი შეუცდომლად მიხვდა, რომ ეს უნიკალური შენობაც ევროატლანტიკური პროექტით იყო აგებული და უმალ ენას კბილი დააჭირა. დარწმუნებული ვარ, ასევე იქნება „პეპელა ხიდის" შემთხვევაშიც. ახლა რომ გაიძახიან, რად გვინდოდა ამ საყოველთაო კრიზისის ჟამს ახალი ხიდის აგება, როცა იქვე, ორ ნაბიჯზე, ბარათაშვილის და მეტეხის ხიდები შესანიშნავად ართმევენ თავს დაკისრებულ მოვალეობასო, აღარ დასჭირდებათ ახსნა-განმარტება, რომ ის ძველები „საავტომობილმავალოა" (თანამედროვე ტერმინოლოგიით), ახალი ხიდი კი „საფეხმავლო" იქნება, თანაც დაკიდებული და მეცხრე ციდან პირდაპირ პრეზიდენტის ხელით ჩამოშვებული (!).

მსოფლიოს მერამდენე საოცრებად აღიქვამს (ბაბილონის დაკიდებული ბაღების შემდეგ) ცივილიზებული კაცობრიობა თბილისურ ხიდს, ამას მომავალი გვიჩვენებს. მანამდე კი თავის სამართლებლად სააკაშვილს, ყოველი შემთხვევისთვის, უინსტონ ჩერჩილის მოშველიება მაინც დასჭირდა. როგორც იისფერსაყელოიან კოსტიუმში საზეიმოდ გამოწყობილმა პრეზიდენტმა მშენებარე ხიდის [illegible] გვამცნო, ჩერჩილს, მსოფლიოში აღიარებულ ამ დიდ პოლიტიკოსსა და მოაზროვნეს, უთქვამს: ჯერ ჩვენ ვაყალიბებთ შენობებს და მერე ისინი გვაყალიბებენ ჩვენო. ჰოდა იმხელა პიროვნება, როგორიც ჩერჩილი გახლავთ, ტყუილს როგორ იკადრებდა. გაივლის ხანი, ქართველი ხალხი ჩამოყალიბდება და სულ სხვა თვალით შეხედავს სააკაშვილის უტყუარი ალღოთი და გემოვნებით ნაგებ „საფეხმავლო" საოცრებას.

ჩერჩილთან მიმართებაში ცოტა შეიძლება გაუნათლებელ და უწიგნურ პერსონებად მოგვეჩვენონ პრეზიდენტის უახლოესი თანამებრძოლები ვანო მერაბიშვილი და გივი თარგამაძე, რომლებიც 2008 წლის აგვისტოს ომში რუსი გენერლებისგან გორში სტალინის ძეგლის დაბომბვას მოითხოვდნენ (ეტყობა, არ იცოდნენ, რომ ჩერჩილმა სტალინს გენიოსი უწოდა), მაგრამ თუ საქმის არსს ჩავუღრმავდებით, თავად რუსი გენერლები უარეს ხეპრეებად წარმოგვიდგებიან. აბა, დავფიქრდეთ, მერაბიშვილის თქმისა არ იყოს, ისინი (რუსი სამხედროები) თუ ანტიდემოკრატები და პროგრესის მტრები არ არიან, დიქტატორი სტალინის ძეგლის დანგრევა რატომ უნდა გასჭირვებოდათ? თქვე კაი ხალხო, თუ მართლა დოყლაპიები და ხისთავები არა ხართ, იმდენი ხარჯი გასწიეთ, ქართლში ქვა ქვაზე აღარ დატოვეთ დაუდუღებელი და ერთი დამატებითი ბომბის ჩამოგდება (თანაც თუ გეხვეწებიან და გასამრჯელოდ 50 ათას დოლარს გჩუქნიან) რა გაგიხდათ? სხვა თუ არაფერი, თქვენი კოლეგისა და სამხედრო საქმის დიდი სპეციალისტისთვის ხომ მაინც უნდა გაგეწიათ ანგარიში? სირცხვილის გრძნობა არა გწვავთ, გივი თარგამაძე, კაცი, რომელსაც პირის გაღება საერთოდ არ ეხერხება, თქვენი უსაქციელობისა გამო, ახლა მუდმივად პირდაღებული დარჩა (!).

ისე, ჩვენში რომ ვთქვათ, არც მე ვარ მთლად პირმართალი მკითხველთან, რომელიც მშენებლობიდან მოულოდნელად ომის თემაზე გადავიტყუე. პრეზიდენტს, რომელმაც, როგორც თვითონ აცხადებს, რუსეთთან ომი ფაქტობრივად მოიგო, იმაში ადანაშაულებენ, ზიზილ-პიპილოების შენებას გადაყევი, ქვეყნის ეკონომიკა კი პრაქტიკულად დააქციე, ხალხი უმუშევარი და მშიერ-მწყურვალი დატოვეო. სააკაშვილის ოპონენტები ამის დასტურად იშველიებენ საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებს, რომლის თანახმად, ქვეყნის საგარეო ვალმა უკვე მშპ-ს 80,3 პროცენტს, ანუ 8,6 მილიარდ დოლარს მიაღწია, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ბიუჯეტმა მარტო ვალების პროცენტის გასასტუმრებლად ყოველწლიურად 800 მილიონი დოლარი უნდა გაიღოს. ქვეყანა ეკონომიკური გაკოტრების (დეფოლტის) ზღვარზეა, რაც შეიძლება 2013 წლისთვის რეალობად იქცეს.

ყოველივე ამას მტკივნეულად განიცდიან ქართულ მიწაზე მცხოვრები რიგითი მოკვდავნი და პრეზიდენტისგან მოითხოვენ მდგომარეობის სასწრაფოდ გამოსწორებას. მათ ავიწყდებათ, რომ სააკაშვილი ქვეყანას მართავს არა ავლაბრის რეზიდენციიდან, სადაც ხალხის კისრიდან ამოქაჩული მილიონები ჩაიყარა, არამედ მეცხრე ციდან, საიდანაც ტერიტორიებშეკრეჭილი და იავარქმნილ-გაპარტახებული საქართველო ერთიანად აყვავებულ-ვარდისფრად გამოიყურება...

**ოთარ ხუციშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# თბილისი ყველაფერში კრემლის ხელს ხედავს

**კვირა თბილისში გლოვის დღედ იყო გამოცხადებული. ასე გამოეხმაურა ხელისუფლება პოლონეთის პრეზიდენტის ლეხ კაჩინსკისა და მეგობარი სახელმწიფოს სხვა მაღალი თანამდებობის პირების დაღუპვას. მიხეილ სააკაშვილის ბრძანებულებით კაჩინსკის სიკვდილის შემდეგ მიენიჭა საქართველოს ეროვნული გმირის ორდენი საერთაშორისო არენაზე საქართველოს მხარდამჭერის პატივისცემით ნიშნად**

ამავე დროს თბილისში გავრცელდა ხმები, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებდნენ ავიაკატასტროფის ოფიციალურ ვერსიას. ზოგიერთმა ადგილობრივმა პოლიტიკოსმა კრემლის ხელი დაინახა გასული კვირის სხვა მოვლენაშიც – ყირგიზეთში სახელმწიფო გადატრიალებაში.

სმოლენსკის მახლობლად მომხდარი ტრაგედიის ოფიციალურ ვერსიაში ეჭვი შეიტანეს არა მხოლოდ ისეთი ტიპის ექსტრავაგანტურმა ლიდერებმა, როგორიცაა ანტიოკუპაციური კომიტეტის ლიდერი წერეთელი, რომელმაც სპეციალურ ბრიფინგზე კატასტროფა ტერაქტად მიიჩნია, არამედ მთავრობის წევრებიც. მაგალითად, ბუნების დაცვის მინისტრმა გოგა ხაჩიძემ მრავალმნიშვნელოვნად აღნიშნა, რომ „ავიაკატასტროფა მოხდა საეჭვო ქვეყნის თავზე საეჭვო პირობებში", და განაცხადა: „ეჭვს იწვევს ის, რომ კატასტროფის მიზეზების გამომკვლევ კომისიის ხელმძღვანელობა განზრახული აქვს რუსეთის ფედერაციის პრემიერს".

ამგვარი დასკვნების უსაფუძვლობა და მორალური მხარე ავტორის სინდისზე დავტოვოთ. ამასთან დაკავშირებით ოპოზიციური ბანაკიდან გაისმა ასეთი რჩევა: შევწყვიტოთ მოსკოვის გალიზიანება. „რეჟიმი იწვევს აგონიას. სააკაშვილისა და მისი ხალხის პათოლოგიური შიში, რომ დაკარგავენ ხელისუფლებას 30 მაისის არჩევნების შემდეგ და, მალე ხელისუფლებასაც მთლიანად, აისახება რუსულ ფობიაში", – მიაჩნია ეროვნული საბჭოს ლიდერს, ექს-პრემიერ-მინისტრს ზურაბ ნოღაიდელს. მან კვლავ გააფრთხილა ხელისუფლება, თავი შეიკავოს არჩევნების შედეგების გაყალბებისგან, აგრეთვე ნუ შეუშლის ხელს საარჩევნო კამპანიის გამართვას.

უკანასკნელ დღეებში ეროვნული საბჭოს და ხელისუფლებას შორის ურთიერთობა მწვავე ფაზაში გადავიდა. პარასკევს, მაგალითად, ნოღაიდელმა თავის უახლოეს თანამებრძოლებთან ზვიად ძიძიგურთან და კობა დავითაშვილთან ერთად, რომლებიც 30 მაისს აპირებენ კენჭი იყარონ შესაბამისად თბილისის მერისა და დედაქალაქის საკანონმდებლო კრების თავმჯდომარის პოსტებზე, ვერ შეძლეს სტამბიდან წამოეღოთ დაბეჭდილი სააგიტაციო საშუალებები: საწარმო აღმოჩნდა დაკეტილი და მთელ მზა პროდუქციას ყადაღა ჰქონდა დადებული. პოლიციასთან მოლაპარაკების დროს ჩხუბიც კი წარმოიქმნა, რაც ეროვნული საბჭოს რამდენიმე წევრის დაპატიმრებით დამთავრდა. „ოპოზიციონერების დაპატიმრების შემდეგ ყირგიზეთში მოხდა რევოლუცია. თუ სააკაშვილი ან შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი მერაბიშვილი კიდევ ერთხელ გაბედავენ და ხელს ახლებენ ვინმეს, ამას მოჰყვება ის, რაც იყო ყირგიზეთში და ამით დამთავრდება მათი ხელისუფლება", – დაიმუქრა დავითაშვილი. თუმცა ხელისუფლება, როგორც ჩანს, დიდად არ შეშინებულა.



„საქართველოში შეუძლებელია „ყირგიზული სცენარის" გამეორება... არც მაისის არჩევნების შემდეგ, არც არჩევნების დროს უწესრიგობანი არ იქნება არა იმიტომ, რომ ამას პოლიცია არ დაუშვებს, არამედ ხალხის განწყობა სხვაგვარია – ნოღაიდელსა და სხვა რადიკალურ ჯგუფებს მხარდაჭერა არ გააჩნიათ", – განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა, როდესაც უპასუხებდა ჟურნალისტების შეკითხვას ქართულ ნიადაგზე „ყირგიზული სცენარის" გადმოტანის ალბათობის შესახებ, რომელიც, როგორც გარკვეულ წრეებში არიან დარწმუნებული, განხორციელდა მოსკოვის მიერ. მერაბიშვილის აზრით, ეროვნული საბჭოს მუქარები არ შეესაბამებიან მის შესაძლებლობებს.

როდესაც უკანასკნელ მოვლენებს უკეთებდა კომენტარებს, ოპოზიციური „ალიანსი საქართველოსთვის" წარმომადგენელი, რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი დავით ბერძენიშვილი აცხადებდა, რომ „სწორედ ამიტომ მიდის ჩვენი პოლიტიკური ორგანიზაცია არჩევნებზე თავისი გზით". „სააკაშვილსა და მის ხალხს თავიანთი განცხადებებითა და მოქმედებით კიდევ ერთი ომი სურთ რუსეთთან, ნოღაიდელს კი – რუსეთის მონობა. ერთიც, მეორეც ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია", – თქვა პოლიტიკოსმა.

**იური სიმონიანი**

**НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА**

# ბარაკ ობამა მიხეილ სააკაშვილს არ შეხვდება

**გასულ უქმე დღეებში საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ჩავიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში ბირთვული უსაფრთხოების საკითხებზე საერთაშორისო სამიტში მონაწილეობისთვის. დაგეგმილი იყო მისი არაოფიციალური მოლაპარაკება ამერიკელ პოლიტიკოსებთან**

შაბათს საქართველოს ლიდერის ადმინისტრაციაში განაცხადეს, რომ ძირითადი ღონისძიებების დამთავრების შემდეგ ის შეწყვეტს ამერიკაში ყოფნის პროგრამას და გაემგზავრება ვარშავაში პოლონეთის პრეზიდენტის ლეხ კაჩინსკის დაკრძალვაში მონაწილეობის მისაღებად. რაც შეეხება თავად ამერიკაში სააკაშვილის უშუალო ვიზიტს, უკანასკნელი დღეების მთავარი ახალი ამბავი გახდა ბარაკ ობამას უარი მასთან შეხვედრაზე.

ლეხ კაჩინსკის დაღუპვასთან დაკავშირებით საქართველოში 11 აპრილი გამოცხადებული იყო გლოვის დღედ, თავად პოლონეთის ხელმძღვანელს სიკვდილის შემდეგ მიენიჭა საქართველოს ეროვნული გმირის ორდენი. როდესაც პატივს მიაგებს პოლონეთის ლიდერის ხსოვნას, ვისაც იგი თავის პირად მეგობრად მიიჩნევდა, მიხეილ სააკაშვილი დაბრუნდება ვაშინგტონში. მის ამერიკის შეერთებულ შტატებში გამგზავრებასთან დაკავშირებით, რაც ცნობილი გახდა ჯერ კიდევ მარტის დასაწყისში, საქართველოში ბევრ რამეს ელოდებოდნენ. პირველ რიგში ბევრს საუბრობდნენ საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელის ამერიკის პრეზიდენტ ობამასთან შეხვედრის შესახებ, რაც უნდა ქცეულიყო მათ პირველ კონტაქტად. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სააკაშვილთან სატელეფონო საუბრის შემდეგ, რაც გასულ კვირას მოხდა ამერიკის მხარის ინიციატივით, ცნობილი გახდა, რომ საქართველოს ლიდერს ვაშინგტონში მაღალი აუდიენცია არ ელოდება.

მართლაც, როგორც ჩვენთან საუბარში კონფლიქტებისა და მოლაპარაკების თბილისის საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელმა გიორგი ხუციშვილმა აღნიშნა, სამიტში მონაწილეობას მიიღებენ თითქმის 50 სახელმწიფოს ხელმძღვანელები და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პერსონალური კონტაქტები თითოეულ მათგანთან, უბრალოდ, შეუძლებელია. მაგრამ ოფიციალურმა თბილისმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა ობამასა და სააკაშვილის თვით სატელეფონო საუბარსაც კი. ადგილობრივმა მიმომხილველებმა ყურადღება მიაქციეს იმას, რომ ამ საუბრის წინა დღეებში საქართველოს სამხედრო ბაზაში ვაზიანში გაიმართა საქართველოს შეიარაღებული ძალების 31-ე ბატალიონის ავღანეთში გაცილების ცერემონია. ბატალიონი მონაწილეობას მიიღებს ნატოს ოპერაციებში.

„მიხეილ სააკაშვილის ვაშინგტონში გამგზავრება ჩემში, მაგალითად, დიდ მოლოდინს არ იწვევს, ვინაიდან იგი მიმდინარეობს ბევრი გადაუჭრელი პრობლემის და განსაკუთრებით ორ ლიდერს შორის ურთიერთობათა პრობლემების ფონზე", – ხაზგასმით აღნიშნა გიორგი ხუციშვილმა. ექსპერტს მიაჩნია, რომ სამიტი ვაშინგტონში გაიმართება პოზიტიურ ტალღაზე დიმიტრი მედვედევისა და ბარაკ ობამას მიერ სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერასთან დაკავშირებით, და რომ ქართული თემატიკა იქ რაიმე თვალსაზრისით იქნება წარმოჩენილი.

**ირინა ბარამიძე**

**НОВЫЕ ИЗВЕСТИЯ**


## განცხადება საჯარო აუქციონის ჩატარების შესახებ

**სს „საქართველოს საზღვაო ბანკის" სააუქციონო კომისია აცხადებს საჯარო აუქციონს:**

1. ბანკის კრედიტორულ მოთხოვნებზე (სასესხო დავალიანებაზე), გასაყიდად გამოტანილი იქნება ბანკის მოთხოვნები სუბიექტების (იურიდიული და ფიზიკური პირები) მიმართ. თითოეული სუბიექტის მიმართ მოთხოვნების გაყიდვა მოხდება დამოუკიდებელ ლოტად.

2. ბანკის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (მიწის ნაკვეთები და შენობა-ნაგებობები);

- ქ. ქობულეთი, დ. აღმაშენებლის გამზირი № 178, მიწის ნაკვეთი 350 კვ.მ., შენობა-ნაგებობა (საცხოვრებელი) ფართი 210 კვ.მ. ფასი 133 500 ლარი;
- ხელვაჩაურის რ-ნი, სოფ. ახალსოფელი, მიწის ნაკვეთი 502 კვ.მ. შენობა-ნაგებობა (მშენებარე) 398.80 კვ.მ., ფასი – 71000 ლარი.
- ქ. ბათუმი, მელიქიშვილის ქ. № 42, საცხოვრებელი ფართი 115.88 კვ.მ., ფასი – 91 000 ლარი.
- ქობულეთის რ-ნი, სოფ. ქვემო კვირიკე, მიწის ნაკვეთი – 5000 კვ.მ., შენობა-ნაგებობა (ორსართულიანი საცხოვრებელი ბინა) ფართი – 465 კვ.მ, ფასი 104 500 ლარი.
- ქ. ბათუმი, დასახლება კახაბერი, შენობა-ნაგებობა (საცხოვრებელი) ფართი – 60.40 კვ.მ., ფასი – 3000 ლარი.
- ქ. ბათუმი, გორგასლის ქ. № 25, საცხოვრებელი (ბინა) ფართი – 17.39 კვ.მ., ფასი – 15 000 ლარი.

აუქციონი გაიმართება 2010 წლის 22 აპრილს 12 საათზე, ქ. ბათუმში, 26 მაისის ქ. № 33-ში.

**დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ სს „საქართველოს საზღვაო ბანკის" ოფისში ქ. ბათუმი, 26 მაისის ქ. № 33, ტელ: 7-60-03; 899-561-13-82.**

სააუქციონო კომისია.

ლიკვიდატორი **რ. ცაციაშვილი.**


## დედამიწის ზურგზე



**დაღუპული პოლონური თვითმფრინავის მფრინავმა ბრწყინვალედ იცოდა რუსული ენა და მისთვის ნაცნობი იყო სმოლენსკის აეროპორტი**

ეს განცხადება არის პასუხი სმოლენსკელი ფრენის დისპეტჩერის განცხადებისა, რომელიც რუსეთის მასობრივი ინფორმაციის ზოგიერთ საშუალებაში გამოქვეყნდა იმის შესახებ, რომ პოლონელმა მფრინავმა ვერ გაარჩია რუსული ენა. დისპეტჩერი ურჩევდა მფრინავს, ცუდი ამინდის გამო დამჯდარიყო სხვა აეროდრომზე.

* * *



**ბაქიევს ჩამოერთვა ხელშეუხებლობა, გაიცა სანქცია მისი ძმისა და შვილის დაპატიმრებაზე**

სასამართლომ გასცა სანქცია ექს-პრემიერ დანიარ უსენოვის, აგრეთვე თავდაცვის მინისტრის ბაკიტ კალიევის და სპეცსამსახურის ხელმძღვანელის მურატ სუტალინოვის დაპატიმრებაზე, რომლებსაც ბრალს სდებენ 7 აპრილს ბიშკეკში მომხდარი უწესრიგობის ფაქტთან დაკავშირებით. დროებითმა მთავრობამ შეაჩერა საკონსტიტუციო სასამართლოს მუშაობა.

* * *

**რუსეთის ფედერაციის შავი ზღვის ფლოტის შესახებ ხელშეკრულების გაგრძელება უკრაინას ახალი რევოლუციით ემუქრება**

საკითხი ფლოტის შესახებ, რომელიც მწვავე დავებს იწვევს უკრაინის საზოგადოებაში შეიძლება გადაიჭრას ხელშეკრულების დახმარებით, რომელიც შენიღბულია უკრაინისთვის სასარგებლო გაზრდილი საიჯარო გადასახადით. მაგრამ ეს ქმნის უკრაინის ოპოზიციისთვის ხელსაყრელ საბაბს, რათა მოაწყოს რევოლუციის ინიცირება, მიაჩნიათ ექსპერტებს.



* * *

**მანასში უარყვეს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მოსამსახურეების ტრანზიტის შეჩერება ავღანეთში**

ამერიკის შეერთებული შტატების სატრანზიტო გადაზიდვების ცენტრი აეროპორტ „მანასში" აგრძელებს ოპერაციების განხორციელებას თვითმფრინავების საწვავით მომარაგებასა და სამხედრო ქვედანაყოფების ტრანზიტთან დაკავშირებით, იტყობინებიან ცენტრში, რითაც უარყოფენ ინფორმაციას სამხედრო მოსამსახურეების ტრანზიტის დროებითი შეჩერების შესახებ. აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლები გაფრინდნენ ბიშკეკში მოლაპარაკებაზე.

* * *

**ჩვენი გალაქტიკის მილიარდი სამყარო ჰგავს დედამიწას, დაადგინეს ასტრონომებმა**

დედამიწის მსგავსი პლანეტები ბრუნავენ გალაქტიკაში არსებული მინიმუმ 3,5 პროცენტი ვარსკვლავების გარშემო. ამ პლანეტების ნაწილი, წმინდა სტატისტიკური მოსაზრების გათვალისწინებით, აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს პირობებს, რაც საჭიროა სიცოცხლის გაჩენისთვის, აღნიშნავენ მეცნიერები.



## დიდი ტერორი?

# ალექსანდრ ელისეევი

# 1937 წლის გამოცანის ამოხსნა

## „საუკუნის დანაშაული" თუ ქვეყნის გადარჩენა?

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მწვავე კრიტიკით გამოვიდა ვიშინსკი. მან ისაუბრა ჩეკისტი გამომძიებლების ულირსი ქცევის შესახებ, რომლებიც ზემოქმედებას ახდენდნენ ადამიანებზე და აყალბებდნენ კიდეც საქმეებს. ვიშინსკის აზრით, საგამოძიებო ღონისძიებებს ახასიათებს გადახრა ბრალდებისკენ. შინსახკომისა და პროკურატურის მუშაობაში მან გამოავლინა სახიფათო „ტენდენცია – ააგონ გამოძიება ბრალდებულის საკუთარ აღიარებაზე". „ამ დროს, – ამტკიცებს ეს „სტალინური მონსტრი", – გამოკვლევის სიმძიმის ცენტრი უნდა იყოს სწორედ... ობიექტურ ვითარებებში".

სტალინის კრიტიკოსები აქაც ავლენენ სრულ უუნარობას მისცენ გონივრული განმარტება იმ ფაქტებს, რომლებიც მათს სქემებში ვერ თავსდება. ვიშინსკის გამოსვლის მეტნაკლებად სერიოზულ ანალიზს იძლევა მხოლოდ ვ.ზ.როგოვინი, თუმცა ვერც იმან დააღწია თავი საკუთარ თავთან დაპირისპირებას. ეს ისტორიკოსი, მაგალითად, გვარწმუნებს, რომ „მკაცრი იურიდიული ნორმებისადმი თავისი მიდრეკილების დემონსტრირების დროს ვიშინსკი ცდილობდა პლენუმის ზოგიერთი მონაწილისთვის მოეხსნა შინაგანი ეჭვი წინანდელი პროცესების იურიდიულ უმწიკვლობასთან დაკავშირებით, რომლებზეც ის სახელმწიფო ბრალდებით გამოდიოდა". დავუშვათ, რომ ეს ასეა. მაგრამ მაშინ ხომ გამოდის, რომ ამავე დროს ის ეჭვქვეშ აყენებდა იმ რეპრესიულ კამპანიას, რომელიც ჩაღდებოდა პლენუმის წინ და მისი მიმდინარეობის დროს. ესე იგი გამოდის, რომ ვიშინსკი რეპრესიების შემდეგი ესკალაციის წინააღმდეგ გამოდიოდა. სწორია, ასე იყო. მაგრამ რაღა ვუყოთ ბრალდებას „ტოტალიტარული" სტალინიზმის წინააღმდეგ?

აი, რაც შეეხება ეჟოვის სიტყვებს მასობრივი რეპრესიების საჭიროების ზედმეტობის შესახებ, ამასთან დაკავშირებით არავინ საქმიანს არაფერს ამბობს საერთოდ. უცნაურია, როგორ არ მიაწერეს ამ გამომააშკარავებლებმა სტალინს მაკიაველის სულისკვეთების კიდევ ერთი გამაოგნებელი ვერაგობა.

სტალინისტებიც, რასაკვირველია, მოუწოდებდნენ ბრძოლის შესახებ „ხალხის მტრებთან" და „ტროცკისტებთან". იგივე ეჟოვი მოითხოვდა ბუხარინისა და რიკოვის დახვრეტას (ასეთი მოთხოვნა გარდაუვალი იყო მისი თანამდებობის კაცისთვის). მათ არ შეეძლოთ, არ გაეთვალისწინებინათ, რომ რევოლუციური განწყობილება სრულად ჯერ კიდევ არ იყო აღმოფხვრილი და ახასიათებდა საკმაოდ ფართო წრეებს პარტიასა და საზოგადოებაში. მაგრამ ამავე დროს ნაციონალ-ბოლშევიკები რამდენადმე ანაცვლებდნენ აქცენტებს. ისინი დაბეჯითებით აქცევდნენ ყურადღებას სკპ (ბ) დემოკრატიზაციის აუცილებლობას, პარტიულ ორგანოებში საიდუმლო არჩევნების მოწყობას, კოოპტაციის გაუქმებას.

რეგიონალები იძულებული იყვნენ დათანხმებოდნენ სტალინისტებს – როგორც თავად სტალინისტები იყვნენ იძულებული, დათანხმებოდნენ რეგიონალებს რეპრესიებთან დაკავშირებით. მაგრამ ისინი ყოველთვის ცდილობდნენ საუბრის თემა გადაეტანათ მტრების ძიების თემაზე. ახლა მხოლოდ სტალინის რეპლიკებმა აიძულეს რეგიონალები დათანხმებულიყვნენ კოოპტაციაზე უარის თქმით.

რეგიონალების ძალებსა და იმის შესახებ, რომ მათ არ სურდათ დათანხმებულიყვნენ პარტიული ცხოვრების დემოკრატიზაციაზე, მოწმობს ის ფაქტი, რომ პლენუმმა მაინც ვერ მიიღო ჟდანოვის წინადადება, ვინც დაბეჯითებით მოითხოვდა პარტიული გადარჩევნების სასწრაფო გამართვას. ცენტრალურმა კომიტეტმა მხარი დაუჭირა კოსიორსა და ხატაევიჩს, რომლებმაც მოითხოვეს გაეჭიანურებინათ პარტიულ ორგანიზაციებში არჩევნების დამთავრების ვადები. ჰოდა, გჯეროდეს ამის შემდეგ ბაიკებისა სტალინის ყოვლისშემძლეობის შესახებ! თურმე, ჯერ კიდევ 1937 წლის მარტში ცენტრალურ კომიტეტს შეეძლო სულ უბრალოდ არ დათანხმებოდა სტალინის უახლოესი თანამებრძოლის, ესე იგი, არსებითად თავად სტალინის აზრს. და მეტად ნიშანდობლივია ის, თუ რომელ საკითხზე ჰქონდა ცენტრალურ კომიტეტს პოლემიკა „სისხლისმსმელ ჯალათთან". თურმე ეს ჯალათი, დიდი საშინელი სტალინი პირდაპირ თავს ახვევდა დემოკრატიას, ხოლო მისი მომავალი „უდანაშაულო" მსხვერპლი გაურბოდა დემოკრატიას, როგორც ეშმაკი საკმეველს. თანაც მითხოვდა რეპრესიებს – რაც შეიძლება მეტს.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 14-66.

პლენუმზე საბოლოოდ დასუსტდნენ „სამეურნეო" სახალხო კომისარიატები. მათ უტევდნენ როგორც სტალინისტები, ისე რეგიონალები. თავდასხმების საბაბი გახდა ეგრეთ წოდებული „მავნებლობა". მის მასშტაბებს უკიდურესად აბუქებდნენ, რათა შეექმნათ შთაბეჭდილება მეტად არაკეთილსაიმედო ვითარების შესახებ სახალხო კომისარიატებში. ვითარება, რასაკვირველია, მართლაც ასეთი იყო, მაგრამ ის უნდა დაეკავშირებინათ არა მავნებლობასთან, არამედ ბევრ უწყებაში გამეფებულ ბიუროკრატიზმთან და კანცელარულობასთან.

მაგრამ რეგიონალებს საკითხის ასე დასმა არ შეეძლოთ. თავად ისინი იყვნენ ჩამოყალიბებული ბიუროკრატები და ესმოდათ, რომ ბიუროკრატიზმის კრიტიკა თავად მათ მოხვდებოდათ. საჭირო იყო ყველაფერი პოლიტიკური ფაქტორისთვის, მტრებისთვის მიეწერათ, რომელთა საქმიანობაც თითქოსდა სამეურნეო სირთულეებთან იყო უმთავრესად დამოკიდებული.

სტალინის ჯგუფი ასეთ მიდგომას ეთანხმებოდა, თუმცა თავის სპეციფიურ აქცენტებს აკეთებდა, რის შესახებაც ქვემოთ იქნება საუბარი. ცხადია, 1936 წლის სექტემბერში სტალინისტებსა და რეგიონალებს შორის მოხდა ერთგვარი კომპრომისი. უკანასკნელები იძლეოდნენ დაპირებას, რომ დაუჭერდნენ მხარს სტალინს ორჯონიკიძის წინააღმდეგ, იგი კი ჰპირდებოდა, რომ ბრძოლას უწყებრივ კლანებთან გადაიტანდა მავნებლებთან ბრძოლის სიბრტყეში.




უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ რეგიონალები იჩენდნენ თავგამოდებას „მავნებელთა" გამოააშკარავებაში. პირველი მდივნების – კაბაკოვის, სარქისოვის, ე.გ.ევდოკიმოვის, მ.დ.ბაგიროვის გამოსვლები იძლევიან ყველაზე აღვირახსნილი დევნის ნიმუშს. ზოგჯერ ისინი აშკარა ფანტასტიკურ მტკიცებამდე მიდიოდნენ. მაგალითად, ურალელი ბოსი კაბაკოვი ამტკიცებდა: „ერთ მაღაზიაში ასეთ ფაქტს გადააწყდნენ – შესაფუთად იყენებდნენ ზინოვიევის წიგნებს, მეორე ფარდულში გაყიდულ საქონელს ახვევდნენ ტომსკის მოხსენებაში. ჩვენ შევამოწმეთ და, თურმე სავაჭრო ორგანიზაციებმა ასეთი ლიტერატურის რამდენიმე ტონა შეიძინეს. ვის შეუძლია იმის თქმა, რომ ამ ლიტერატურას იყენებენ მხოლოდ შესაფუთად?"

გაცილებით გაწონასწორებული იყო მოლოტოვის გამოსვლა. მან მკაცრად „გადაუარა" „მავნებლებს", თუმცა მარტო მათზე არ შეჩერებულა. მან ყურადღება გაამახვილა „კანცელარიულ-ბიუროკრატიულ მეთოდებზე", რომლებიც ქმნიან მრავალრიცხოვან სტრუქტურებს, ასე რომ უშლიან ხელს ერთმანეთს. მთავრობის თავმჯდომარემ მოუწოდა გაეუმჯობესებინათ ორგანიზაცია წარმოებაში, თანაც დაასახელა ვითარების გაჯანსაღების კონკრეტული ზომები: ტექნიკური წესების დამკვიდრება, პირადი ინსტრუქტაჟი, ტექნიკის რეგლამენტაცია და ა.შ.

ამას გარდა მოლოტოვმა განაცხადა, რომ არაა საჭირო ზედმეტი თავგამოდება „მავნებლებთან" ბრძოლაში. ასეთი მცდელობის მაგალითად მან რამდენიმე ფაქტი დაასახელა. მაგალითად, პერმის ავიამოტორების ქარხნის დირექტორის პობერეჟნის დევნა, რომელიც მოაწყო პერმის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა გოლიშევმა. დირექტორი გადაარჩინა მხოლოდ პოლიტბიუროს დროულმა ჩარევამ. მოლოტოვმა პირდაპირ თქვა, რომ პარტიულმა მუშაკებმა თავიანთი საქმე უნდა აკეთონ, და არა ეძებონ მტრები, რისთვისაც არიან შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოები. ეს უკვე რეგიონალებზე აშკარა „გადავლა" იყო.

პლენუმის შედეგები ორმაგი მნიშვნელობის იყო. მემარცხენე კონსერვატორებმა შეძლეს კიდევ უფრო დაეძაბათ ვითარება, უფრო გაემწვავებინათ „მტრის თემა". ბუხარინისა და რიკოვის დაპატიმრების დაჟინებული მოთხოვნით მათ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ზოლი გადალახეს. ადრე არ მიაქციეს ყურადღება ზინოვიევისა და კამენევის დამსახურებაზე, მაგრამ ეს მოღვაწეები უკვე კომპრომეტირებული იყვნენ ტროცკისადმი თავიანთი მხარდაჭერით 20-იან წლებში. ბუხარინსა და რიკოვს კი გაცილებით უფრო დიდი ავტორიტეტი ჰქონდათ, თანაც თავის დროზე მათ დიდი წვლილი შეიტანეს ტროცკიზმის განადგურებაში. მათმა დაპატიმრებამ დაამსხვრია მორიგი ფსიქოლოგიური დაბრკოლება ტერორის გზაზე. ახლა უკვე ცხადი იყო, რომ რეპრესიის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ადამიანი.

პრინციპულად, ეს სრულიად სწორი მიდგომაა – ნორმალური სახელმწიფოებისთვის, რომლებსაც აქვთ ძლიერი სამართლებრივი სისტემა. მაგრამ სსრ კავშირი იყო სახელმწიფო, რომელიც ტრავმირებული იყო ეგრეთ წოდებული „რევოლუციური სამართალშეგნებით", და ამ სამართალშეგნების ელემენტები ახდენდნენ მეტად და მეტად საგრძნობ გავლენას ხალხის ქცევაზე. ასეთ სიტუაციაში ყოველთვის უკეთესია – არ მიხვიდე ბოლომდე, ვიდრე გადასცილდე ზღვარს. ეს შესანიშნავად ესმოდა სტალინს, რომელსაც ბევრი რამ ასწავლა კოლექტივიზაციის გაკვეთილებმა. აი, რეგიონალებმა ეს გაკვეთილები ვერ აითვისეს. მათ უნდოდათ, რომ გადასულიყვნენ ზღვარს. და პლენუმზეც სწორედ მათმა მიდგომამ გაიმარჯვა.

ამავე დროს სტალინმა შეძლო დაერწმუნებინა ცენტრალური კომიტეტი პარტიის დემოკრატიზაციის აუცილებლობაში. მდივნები იძულებული იყვნენ ნორმალურად ეღიარებინათ ის ვითარება, რაც არჩევით ორგანოებთან დაკავშირებით შეიქმნა და რომელთა არჩევნებიც ფიქცია აღმოჩნდა. დაინიშნა პარტიული ორგანოების საიდუმლო გადარჩევნები. ამ კამპანიამ დიდი დარტყმა მიაყენა ადგილობრივ ხელმძღვანელობას.

### სტალინი უტევს

გადარჩევნების კამპანიამ უკიდურესად გამოაცოცხლა ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება. პარტიული კრებებისა და კონფერენციების დელეგატებს მიენიჭათ კანდიდატურების განუსაზღვრელი აცილების უფლება, რასაც ისინი აქტიურად იყენებდნენ. ზოგჯერ კანდიდატების განხილვა მთელი კვირის განმავლობაში გრძელდებოდა. დელეგატებს განსაკუთრებით არ აინტერესებდათ განსახილველი კანდიდატის მაღალი სტატუსი. მაგალითად, მალენკოვი, სტლინის უახლოესი თანამებრძოლი, იძულებული იყო დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში ეპასუხა კონფერენციის მონაწილეთა შეკითხვებზე.

გადარჩევნების დემოკრატიული ხასიათი ცხადია. ამას, თუმცა დიდი შესწორებებით, აღიარებს ბევრი ანტისტალინელი ისტორიკოსიც კი. მაგალითად, რ.ტაკერი თავის მონოგრაფიაში „სტალინი ხელისუფლების სათავეში 1929-1941" წერს: „ცხადია, თუ რატომ გამოთქვა ჟდანოვმა (იგულისხმე – სტალინმა) თებერვალ-მარტის პლენუმზე აზრი „შინაპარტიული დემოკრატიის მხარდასაჭერად". ეს იგულისხმება არა მხოლოდ ფარული კენჭისყრა პარტიულ ორგანოებში არჩევნების დროს, არამედ პარტიის რიგითი წევრებისთვის იმის უფლების მინიჭებაც, რომ გააკრიტიკონ თავიანთი პარტიული ხელმძღვანელები პარტიულ კრებებზე. ადრე პარტიელი ხმას ვერ იღებდა ომსკში პატარა სტალინის – ამხ.ბულატოვის, ან სმოლენსკში პატარა სტალინის – ამხ. რუმიანცევის წინააღმდეგ. ახლა კი, პარტიის წევრებისადმი მოწოდებამ – სერიოზულად აღიქვან „შინაპარტიული დემოკრატია" – მოახდინა მათი მობილიზება სწორედ ამაზე..."

ამ დროს სტალინს მაინც გულიანად ლანძღავენ. აიო, მას მისთვის არახელსაყრელი ხალხის გადაგდება უნდოდა, როდესაც პარტიული მასების უკმაყოფილებას ემყარებოდაო. და ეს, სხვათა შორის, სავსებით ნორმალურია. ნებისმიერ, ყველაზე ლიბერალურ ქვეყანაში ლიდერს უნდა თავად შეარჩიოს ხალხი – იმათ შორის, ვისაც ენდობა და ვისაც თავის თანამოაზრედ მიიჩნევს. სხვა საქმეა, რომ ის ამას აკეთებს ფართო წრეების აზრზე დაყრდნობით, რომლებსაც ლიდერებისთვის გამოაქვთ ნდობის ან უნდობლობის ვოტუმი. და სტალინმაც გამოიყენა მხარდაჭერის გამოვლენის ყველა მექანიზმიდან ყველაზე დემოკრატიული – არჩევნები. მათ, რასაკვირველია, თან ახლდა მტრების ძიება და ბრალდებანი სახელმწიფო დანაშაულში. ასეთი იყო სსრ კავშირის მდგომარეობის სპეციფიკა, რომელიც მთლიანად დაფარული იყო სამოქალაქო ომის გადმონაშთებით. ქვეყანაში რევოლუციურობის რეციდივი მოხდა. პასუხისმგებლობა ამისთვის უწინარეს ყოვლისა ეკისრებათ მემარცხენე კონსერვატორებს, რომლებსაც დაჟინებით არ უნდოდათ გადასულიყვნენ ხელმძღვანელობის ახალ მეთოდებზე და მიაჩნდათ, რომ ყველაფრის მიღწევა შეიძლება ადმინისტრაციული ზემოქმედებისა და რეპრესიების გზით. სტალინს 1937 წლის პირველ ნახევარში ჯერ კიდევ ჰქონდა იმედი, რომ რეციდივის დაძლევა ძალიან მალე შეიძლებოდა, სანამ საქმე ჯერ კიდევ არ მისულა დიდ სისხლისღვრამდე.

სტალინის კრიტიკოსები თავის თავსვე ეწინააღმდეგებიან. მას ხან ბიუროკრატიზმში სდებენ ბრალს, ხან პირიქით – იმაში, რომ ის ებოდიშებოდა თავად ბიუროკრატიას. ამ უკანასკნელ ვითარებაზე განსაკუთრებით იკლავენ თავს ის ავტორები, ვინც მემარცხენე პოზიციაზე იდგა. მათ რატომღაც მიაჩნიათ, რომ რევოლუციის წინაშე ძველ დამსახურებას ავტომატურად უნდა გადაექცია კაცი ერთგვარ ღვთიურ პიროვნებად, ვინც მიუწვდომელი იქნებოდა უბრალო მოკვდავთათვის. კადრების განახლებას კი ისინი განმარტავენ, როგორც ახალგაზრდა კარიერისტების წამოწევას წინა პლანზე. მეტი არაფერი.

თავს ნებას მივცემ, მივმართო კიდევ ერთ უკანდახევას. ამჯერად ლიტერატურის დარგში. საერთოდ, სტალინიზმის ეპოქის გაშუქება ლიტერატორების თვალით, პირველ რიგში პროზაიკოსების მიერ, განსაკუთრებული თემაა. და საუბარი ამაზე ცალკე უნდა იყოს. ყურადღებას მივაპყრობ მწერალ ა.რიბაკოვის, რომან „არბატის შვილების" ავტორის შემოქმედებას. თავის დროზე ამ ნაწარმოებმა სტალინის სახეს მიაყენა ისეთი დარტყმა, რომლის ძალაც მრავალგზის აჭარბებს იმ ათეულობით ვრცელი აკადემიური გამოკვლევების ძალას, რომლებიც დაწერეს „უეცრად თვალახელილმა" ისტორიკოსებმა. „არბატის შვილები" არის ერთგვარი ახალი კვინტესენცია მემარცხენე „ანტისტალინიზმისა", რომელიც გამოხატავს იმ რევოლუციური ელიტის მემკვიდრეთა უკმაყოფილებას, ვინც გამოზარდა ლენინმა და გადაჭრით ჩამოიშორა სტალინმა. თუ „შვილებს" ყურადღებით წაიკითხავთ, ადვილად შევამჩნევთ უკმაყოფილებას სტალინის სწორედ დემოკრატიზმით. სახელისუფლო ელიტიდან ჩამოშორებული „მტვრიანი მუზარადების კომისრების" მემკვიდრეები იმიტომ იქცნენ პროდასავლურ დისიდენტებად, რომ ბურჟუაზიულ დემოკრატიაში ხედავდნენ ეროვნული და სოციალისტური დემოკრატიის ერთადერთ შესაძლო ალტერნატივას, რომელიც შეესაბამებოდა ჩვენი ქვეყნის თავისებურებას. ნეოტროცკისტული რევოლუცია ვერაფერს მოახერხებდა ნებისმიერ შემთხვევაში, აი წითელი ჯალათების ვაჟიშვილებმა და ქალიშვილებმა არჩევანი კაპიტალიზმის სასარგებლოდ მოახდინეს.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე, ჩემო მანასეო...

# ყვარყვარე ბურთით...

ამ დღეებში ქართული პრესა აჭრელდა ეროვნული ნაკრების კაპიტნის კახი კალაძის პოლიტმიდრეკილებებისადმი მიძღვნილი სტატიებით. და არ იკითხავთ, რას უთვლიან ბრალად ამ ბოლო დროს დამკვიდრებული მოდის შესაბამისად გაოპოზიციონერებულ „მილანის" ქართველ ლეგიონერს? თურმე, ერთი ბანაკიდან მეორეში გადაბარგება ყოფილა დანაშაული იმ ქვეყანაში, სადაც ყვარყვარიზმი სახელმწიფო რანგშია აყვანილი და ძალაუფლებამოყირჭებული არსებები ხელთათმანებივით იცვლიან შეხედულებებს, პლატფორმებსა თუ პარტიებს.



ვიდრე „როსონერის" სათადარიგოთა სკამზე დამწნილებული ჩვენებური მცველის ფერისცვალებაზე დავასველებდეთ სიტყვას, კიდევ ერთხელ შევთანხმდეთ, რომ „ჯვაროსანთა" გუნდისთავად აღზევება მხოლოდ ქვენა დინებას უნდა მივაწეროთ და არა სამამულო ფეხბურთის წინაშე მის დამსახურებას. თუ ვინმეს მიაჩნია, რომ ჩემპიონთა ლიგის ორგზის მოგება კაპიტნის სამკლავურის მოსარგებად სავსებით საკმარისი ინდულგენციაა, ეს მისი პირადი პრობლემაა, მე კი ვთვლი, რომ მოპოვებული ტიტულების სიმწირის მიუხედავად, იტალიური სუპერკლუბის რიგით წევრზე არანაკლებ ასეთი პატივის ღირსი მისივე რამდენიმე სანაკრებო პარტნიორია, მაგალითად — ლევან კობიაშვილი, ზურაბ ხიზანიშვილი ან მალხაზ ასათიანი. და კიდევ, როცა ეროვნული ნაკრების კაპიტანს ირჩევენ, მისი მწვრთნელი და მოთამაშეები, ვფიქრობ, უნდა ითვალისწინებდნენ წინამორბედების — კახი ცხადაძისა და გიორგი ნემსაძის ფაქტორს, რომ აღარაფერი ვთქვათ მათ სახელოვან კოლეგა — თანამემამულეებზე შოთა შავგულიძეზე, ავთანდილ ღოღობერიძეზე, შოთა იამანიძეზე, მურთაზ ხურცილავაზე, მანუჩარ მაჩაიძესა და ალექსანდრე ჩივაძეზე.

ახლა კი, მოდით, იმ თემას დავუბრუნდეთ, რომელზე მსჯელობითაც დავიწყეთ აღნიშნული წერილი და პირდაპირ მოვჭრათ: პიროვნება, რომელიც შევარდნაძის ეპოქაში „მოქალაქეთა კავშირის" მიერ უზურპირებული პარლამენტის ერთ-ერთი წამყვანი კომიტეტის თავმჯდომარეს ვანო მერაბიშვილს მადლობას უხდიდა გატაცებული ძმის სამაგალითო ძებნისათვის (თუ როგორ ტრაგიკულად დასრულდა ეს პროცესი, კარგად გემახსოვრებათ); პიროვნება, რომელიც ვარდყვავილოვანი ბანდის ლიდერს მიხეილ სააკაშვილს უმშვენებდა მხარს დედაქალაქის მერიის აივანზე მაშინ, როცა თავისუფლების მოედანი მომიტინგეებით იყო გაძეძგილი; და ბოლოს, პიროვნება, რომელიც მოჭარბებული ამბიციების დაკმაყოფილებას ყველა საცობს მორგებულ ოდიოზურ ფიგურა ზურაბ ნოღაიდელთან ბიზნეს და პოლიტთანამშრომლობით ცდილობდა, არის თუ არა თავადაც კარიერისტი და მხოლოდ და მხოლოდ შიდა „ნაციონალური" გარჩევების მსხვერპლი?

ალბათ, არის და მისი ადგილი დემოკრატიის მაძიებელი სამშობლოს ელიტაში არ უნდა იყოს.

**გია პლატონიშვილი**

ჭადრაკი

## მჭედლიშვილი მეორეა

კუალა — ლუმპურში (მალაიზია) დამთავრდა მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის 111 წარმომადგენელი მონაწილეობდა, მათ შორის — 15 დიდოსტატი. მოასპარეზეთა შორის იყო თბილისელი მიხეილ მჭედლიშვილი — შეჯიბრების რეიტინგ-ფავორიტი.

ცხრა შესაძლებლიდან 7,5 ქულით პირველი ადგილი ჩინელმა გოგონამ ჰოუ იფანმა დაიკავა. გამარჯვებულს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩნენ მჭედლიშვილი და ვიეტნამელი ნგუენ ან დუნგი, რომლებმაც მეორე-მესამე ადგილები გაინაწილეს.



სალონიკში (საბერძნეთი) გრძელდება ვეტერან მოჭადრაკეთა ევროპის ჩემპიონატი. სამი ტურის შემდეგ ქალთა შეჯიბრებაში 2,5-2,5 ქულით ნონა გაფრინდაშვილი და თამარ ხმიადაშვილი ლიდერობენ. ასპარეზობის დამთავრებამდე 6 ტური დარჩა.

კრივი

## ერთი ოქრო და ხუთი ბრინჯაო

საქართველოს მოკრივეები მონდომებით ემზადებიან წლევანდელი ევროპის ჩემპიონატისთვის ნაკრების მთავარი მწვრთნელის რამაზ ფალიანის ხელმძღვანელობით. ამას წინათ მათ სომხეთის ეროვნულ გუნდთან ერთად ერთობლივი საწვრთნელო შეკრება გაიარეს ერევანში, რომლის დამთავრებისთანავე იქვე საერთაშორისო ტურნირშიც ჩაებნენ. 15 ქვეყნის წარმომადგენელთა მხარდამხარ 14 ჩვენებურიც იბრძოდა მედლებისთვის. ხუთმა მათგანმა ჯილდოები მოიხვეჭა. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი მძიმეწონოსანმა ბექა ლობჟანიძემ, რომელმაც ყველა შეხვედრა მოიგო და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. მხოლოდ ნახევარფინალური პაექრობები დათმეს და მესამე ადგილებს დასჯერდნენ იროდიონ ონაშვილი (57), კობა ფხაკაძე (60), ლევან კლდიაშვილი (81) და დავით გოგიშვილი (91).



ასევე ბრინჯაოს მედლით დაბრუნდა ანკარიდან ჯაბა ხოსიტაშვილი (75), რომელიც თურქეთის პრემიერ-მინისტრის სახელობის A კატეგორიის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდა. ჯაბამაც მხოლოდ ნახევარფინალური ორთაბრძოლა წააგო.

ქართველი მოკრივეები ევროპის ჩემპიონატის წინ ბოლო საწვრთნელ შეკრებას ბაკურიანში გაივლიან.

ძიუდო



## გოგიჩაიშვილის ხსოვნას მიეძღვნა

გორში გურამ პაპიტაშვილის სახელობის დარბაზმა ამიერკავკასიის 1991-1993 წლებში დაბადებულ ძიუდოისტებს უმასპინძლა. შეჯიბრება სახელოვანი ქართველი ფალავნის ენგურ გოგიჩაიშვილის ხსოვნას მიეძღვნა. დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ წონითი კატეგორიების მიხედვით პირველ ადგილებზე გავიდნენ: ელვირ ისმაილოვი (აზერბაიჯანი), ვაჟა მარგველაშვილი, ლაშა ლომიძე (ორივე — გორი), ბაჩანა ტიტვინიძე, არჩილ უსტარაშვილი (ორივე — თბილისი), კახაბერ გაზაშვილი (ქარელი), ონისე ბერაძე (თბილისი) და გაგა ჯიხვაძე (ქუთაისი).

ინტერნეტიდან

## საციგაო ტრასა დასაჯეს

დიახ, სტატუსი ჩამოართვეს ვანკუვერის საციგაო ტრასას, სადაც 12 თებერვალს წინასაოლიმპიადო ვარჯიშის დროს დაიღუპა 21 წლის ქართველი მოციგავე ნოდარ ქუმარიტაშვილი — საციგაო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის (FIL) ტექნიკური კომიტეტის სხდომაზე ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ამ ფედერაციის პრეზიდენტმა იოზეფ ფენედტმა.



ამიერიდან ამ ოლიმპიურ ტრასაზე აკრძალულია ოფიციალურ შეჯიბრებებზე მამაკაცთა სტარტები.

„ნოდარის დაღუპვის ოფიციალურ მიზეზად დასახელებული იყო სპორტსმენის შეცდომა, — უთხრა რუსეთის საციგაო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტმა ვალერი სილაკოვმა გაზეთ „სოვესტსკი სპორტს" — თუმცა FIL-ის სერტიფიკატის ჩამორთმევის გადაწყვეტილების იქ სრიალი აკრძალულია. ნებადართულია მხოლოდ სრიალი ნაკლებად სარისკო ქალთა სტარტიდან". თუმცა ჯერ კიდევ ბევრი პროცედურაა გასავლელი.

როგორც სილაკოვმა აღიარა, მთლიანად კმაყოფილი არაა სხდომის გადაწყვეტილებით, მისი აზრით, მომავალი ზამთრის ოლიმპიადისათვის ყველაფერი როდია წესრიგში სოჭში, ეს კი პირველ რიგში ალბათ საციგაო ტრასას შეეხება.

## ჰონდურასელთა დიდი სიხარული

გრძნობს რა დიდ სიხარულს ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატზე მათი ქვეყნის ნაკრების მეორედ მოხვედრის გამო, ჰონდურასის კონგრესმა გადაწყვიტა, გამოუყოს ნაკრებს 52,7 ათასი დოლარი.




როგორც ამ ცენტრალური ამერიკის ქვეყნის პარლამენტის მეთაურმა განაცხადა: „ეს უნდა გახდეს სიგნალი ფეხბურთელებისა და მწვრთნელთა შტაბის წევრებისთვის, რომ ამ ძნელ დროსაც კი ისინი სარგებლობენ სახელმწიფოს მხარდაჭერით".

აღნიშნული თანხა პირველ რიგში მოხმარდება 2010 წლის ჩემპიონატზე გასვლისთვის პრემიებს, რასაც ფეხბურთელები უკვე ორი კვირაა, მოითხოვენ.

## ლიუსიმ კაცებს გაუგო

ცნობილმა ბრიტანელმა მოდელმა, ტიტულის „2009 წლის ბრიტანეთის საუკეთესო მკერდის" მფლობელმა ლიუსი პინდერმა გადაწყვიტა, მონაწილეობა მიიღოს ფოტოსესიაში ჟურნალისთვის Nuts.

ალსანიშნავია, რომ თავისი კარიერის დასაწყისში ფეხბურთის კლუბ „საუთჰემპტონის" 26 წლის თაყვანისმცემელმა უარი თქვა ფოტოკამერის წინ გახდაზე, იფარავდა რა ყველაზე ინტიმურ ადგილებს, თუმცა შემდეგ ფულადი კონტრაქტების ზრდის გამო მორიდებულობაც დაკარგა.



„ოთხი წლის წინათ პირველ ფოტოსესიაში მე ვმონაწილეობდი როგორც მოდელი. მაგრამ როცა მივხვდი, რომ სხეულის დემონსტრირებას მეტი შემოსავალი მოაქვს, მე უფრო გავთამამდი და მამაკაცების მხარეს დავდექი, — თქვა ლიუსიმ. მას ხომ ბევრი რამით შეუძლია იამაყოს — მკერდით, ფიგურით ლამაზმანი მხოლოდ აღტაცებას იწვევს, რაშიც, როგორც თავად ამბობს, რეგულარული სექსი ეხმარება.

**განცხადება**

2010 წლის 29 აპრილს დღის 11 საათზე განმეორებით დანიშნულია სააქციო საზოგადოება „ყვარელის" აქციონერთა საერთო კრება

დღის წესრიგი:

1. 2009 წლის წლიური ბალანსის განხილვა;
2. სხვადასხვა საკითხები.

მისამართი: ქ. ყვარელი, ჭავჭავაძის ქ. № 72

სააქციო საზოგადოება „ყვარელის" ადმინისტრაცია.

განგაში

# ბალთაზარ კოსას აჩრდილი

(მეშვიდე გვერდიდან)

## რისთვის ჩამობრძანდა მათიას იორში?

არ ვიცი, რა კონკრეტული დავალება ჰქონდა ევროსაბჭოს ემისარს ამ შემთხვევაში, მაგრამ, სამაგიეროდ, იგი სხვა „შემთხვევაში" მახსენდება. კერძოდ, მახსენდება, რომ მათიას იორში იყო ერთ-ერთი მძლავრი „გამპრავებელი" ჯერ 2008 წლის საპრეზიდენტო და შემდეგ იმავე წლის საპარლამენტო გაყალბებული არჩევნებისა.

რომ არა მათიას იორშის მსგავსი ვაჟბატონების, „დემოკრატიული" დასავლეთის უპირობო მხარდაჭერა სააკაშვილის რეჟიმის მიმართ, არ იქნებოდა აგვისტოს სამხედრო სკანდალი, რამაც ჩვენი ქვეყანა სამუდამოდ თუ არა, ძალიან დიდი ხნით გატეხა წელში. ამიტომ ჩვენი ქვეყნის უბედურებაზე პასუხისმგებლობა „დემოკრატიულ" დასავლეთს და პირადად მათიას იორშსაც აწევს კისერზე.

არა მგონია, ახლაც არჩევნების „გასაპრავებლად" იყოს ჩამობრძანებული, რადგანაც საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მაინცდამაინც დიდი გაყალბება არ დასჭირდებათ ნაცებს.

ბატონი იორში ჩვენს არასამთავრობოებს, ახალ სახალხო დამცველს შეხვდა და იცით, რითი დაინტერესდა? რითი და ე.წ. სექსუალური და რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვით, ანუ, მარტივად თუ ვიტყვით, იმით, ხომ არაფერს უჩივიან ჩვენი ხლისტები და პედერასტები! ეს რომ უსაქმო კაცისა და მახათის უწყინარი არაკი იყოს, ვინ მამაძაღლი, ხმასაც არ ამოვიღებდი, მაგრამ გაგონილა ამისთანა ამბავი? — რუსებისგან გაგლეჯილ-გამოგლეჯილ და საკუთარი ხელისუფლებისგან გაუპატიურებელ საქართველოში პედერასტ-ბუდარიხების, პედერასტ-ლესბოსელების მეტი სადარდებელი არა აქვთ?

**დავით მხეიძე.**

*P. S. წინამდებარე წერილიდან გამომდინარე, ვფიქრობ, ცხადია, სინამდვილეში რას გვთავაზობენ, საით გვექაჩებიან ე.წ. დასავლური ფასეულობების ტრუბადურები — ერთსქესიან ქორწინებებს, მამამთავლობას, პედოფილიას, ანუ, ზოგადად გახრწნა-გადაგვარებას ქართული, მართლმადიდებლური, ტრადიციული ღირებულებების სანაცვლოდ.*

*ეს არის ლიბერალური დემოკრატიის ნაყოფი, რაც ჩვენთვის ემეტებათ დასავლეთიდან, თორემ ზომიერი ლიბერალობის წინააღმდეგი რომელი ნორმალური ადამიანი შეიძლება იყოს?*

*„აჩრდილი დადის ევროპაში, აჩრდილი კომუნიზმისა!" — წერდნენ თავის დროზე კომუნისტური მანიფესტის ავტორები. XX საუკუნეში ეს აჩრდილი ლამის მთელ მსოფლიოში გაბატონდა. მიუხედავად იმისა, რომ წითელმა იდეოლოგიამ აურაცხელი სისხლი და ცრემლი მოუტანა კაცობრიობას, ერთი რამ უდავოა — კომუნისტებიც კი არა თუ შორს იყვნენ ზემოთ ხსენებული უზნეობისგან, არამედ კანონის ძალით ებრძოდნენ ყველა სახის გარყვნილებას — მამათმავალობისთვის აპატიმრებდნენ, ხოლო პედოფილებს სიკვდილითაც კი სჯიდნენ.*

*დღეს? აჩრდილი დადის ევროპაში, აჩრდილი „ლიბერალობის", აჩრდილი ბალთაზარ კოსასი. თუმცა, როგორც ერთ ქართულ ფილმშია, „თვალი დაუდგეს ევროპას", ჩვენ ჩვენი ვიკითხოთ. ამიტომ, არა მგონია, ის ლიბერალური გარყვნილების აჩრდილი, რომელიც დაძრწის საქართველოში, იმ აჩრდილზე ნაკლებად საშიში იყოს, რაზედაც წერდა ფრიდრიხ ენგელსი კომუნისტურ მანიფესტში — პედოფილების, პედერასტების, სექტანტი ხლისტების მანიფესტია ბევრად უფრო საშიში საქართველოსთვის!*

***დ. მ.***

ინფორმაცია

## ძიძიგური მოსკოვს ეწვევა



„ეროვნული საბჭოს" ლიდერებიდან მოსკოვში ვიზიტისთვის კონსერვატიული პარტიის ლიდერი ზვიად ძიძიგური ემზადება.

ამის შესახებ პარტიაში განაცხადეს, თუმცა განმარტეს, რომ ვიზიტის ზუსტი თარიღი ჯერჯერობით დაზუსტებული არ არის.

ამ დროისთვის უცნობია ისიც, გაემგზავრება თუ არა რუსეთის დედაქალაქში პარტიის კიდევ ერთი ლიდერი კახა კუკავაც.

ამის შესახებ ლიდერები განცხადებას რამდენიმე დღეში თავად გააკეთებენ.

შეგახსენებთ, რომ ზურაბ ნოღაიდელის გარდა, „ეროვნული საბჭოს" სხვა ლიდერების მოსკოვში დაგეგმილი ვიზიტის შესახებ ინფორმაცია გუშინ თავად ქვეყნის ყოფილმა პრემიერმა გაავრცელა.

## უკრაინას „დიდი სამამულო ომი" დაუბრუნდა

ტერმინი „დიდი სამამულო ომი" უკრაინის სასკოლო სახელმძღვანელოებში დაბრუნდება. ამის შესახებ უკრაინის განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი ტაბაჩნიკმა განაცხადა. წინა ხელისუფლებამ ეს ტერმინი სახელმძღვანელოებიდან ამოიღო და სახელწოდება „მეორე მსოფლიო ომი" დაამკვიდრა.

ტაბაჩკინის თქმით, გაერო იმ ქვეყნებმა შექმნეს, რომლებსაც კაცთმოძულე ტოტალური იდეოლოგიის — ნაციზმისა და ფაშიზმის მიუღებლობა აერთიანებდა.

მინისტრის განცხადებით, უკრაინის ახალმა ხელმძღვანელობამ თავისი საქმიანობა ვეტერანების ფსიქოლოგიური დახმარებით დაიწყო. გამარჯვების 65 წლისთავთან ალსანიშნავი ღონისძიებების საორგანიზაციო კომიტეტს სათავეში უკრაინის პრემიერ-მინისტრი ნიკოლაი აზაროვი ჩაუდგა.

უკრაინის მთავრობა ვეტერანებისადმი მხოლოდ ფსიქოლოგიური დახმარებით არ შემოიფარგლება. როგორც ტაბაჩკინმა აღნიშნა, მთავრობა სოციალური ღონისძიებების კომპლექსს ამზადებს. — ვეტერანების სოციალური დაცვის კანონის შესაბამისად საომარი მოქმედებების ყველა მონაწილეს საცხოვრებელი სახლებითა და ავტომობილებით უზრუნველვყოფთ, — განაცხადა ტაბაჩკინმა.

ამასთან ერთად გავრცელდა ინფორმაცია, რომ ინფორმაცია უკრაინაში იოსებ სტალინის ძეგლის აგების შესახებ, შემაშფოთებელია. ამის შესახებ ევროსაბჭოს კომისარმა ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში ტომას ჰამარბერგმა განაცხადა.

„შესაძლოა, თქვან, რომ ყველას აქვს სიტყვის თავისუფლად გამოხატვის უფლება... მაგრამ ასეთი ინფორმაციები მეტად არადამამშვიდებელია", — აღნიშნა ჰამარბერგმა.

კომისარმა აღნიშნა, რომ სტალინის ძეგლის აგება უკრაინაში, რომელიც კომუნისტური რეჟიმისგან ძლიერ დაზარალდა, დამნაშავეთა საზეიმო პატივისცემას ნიშნავს.

— მემორიალები მსხვერპლთა პატივისცემის ნიშნად უნდა არსებობდეს, და არა დიქტატორების, — განაცხადა ჰამარბერგმა.

ზაპოროჟიეს ოლქის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ალექსანდრე ზუბჩევსკიმ 9 მაისისთვის სტალინის ძეგლის აგების შესახებ განაცხადა.

ქვეყნის ვიცე-პრემიერმა ვლადიმერ სემინოჟენკომ განაცხადა, რომ ხელისუფლება ძეგლის აღმართვას არ შეეწინააღმდეგება.

## სად გაქრნენ ბიზნესმენები?

საწარმოთა მართვის სააგენტო მის დაქვემდებარებაში არსებულ 506 საწარმოს შესახებ ინფორმაციას არ ფლობს.

კონტროლის პალატამ საწარმოთა მართვის სააგენტოს აუდიტის შედეგად მნიშვნელოვანი დარღვევები აღმოაჩინა, კერძოდ, გასული წლის 2 ნოემბრის მონაცემებით, სააგენტოსთვის მის დაქვემდებარებაში მყოფ 1 426 საწარმოდან 2008 წლის ფინანსური ანგარიში 506 საწარმოს არ წარუდგენია. ამასთან, სააგენტოს არც აღნიშნული და არც სხვა არამომგებიანი სახელმწიფო კომპანიების მიმართ არანაირი შესაბამისი ღონისძიებები არ განუხორციელებია.

— არ არის აღრიცხული, რა ქონებას ფლობენ სახელმწიფო საწარმოები. შესაბამისი კონტროლი არ ხორციელდება დივიდენდების სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვაზე; საწარმოთა მართვის სააგენტოს მიერ არასათანადოდ ხორციელდებოდა საწარმოთა მართვის ბიზნეს-გეგმების შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგი, — ნათქვამია დასკვნაში.

კონტოლის პალატაში მიიჩნევენ, სააგენტომ და ეკონომიკის სამინისტრომ უნდა განსაზღვრონ ეკონომიკის პრიორიტეტული სფეროები და მხოლოდ აღნიშნული პროფილის საწარმოები უნდა დარჩეს სახელმწიფო საკუთრებაში, დანარჩენი კი — პრივატიზებას დაექვემდებაროს.

## ინფექციურ საავადმყოფოში გოგონა გარდაიცვალა

თბილისის ინფექციურ საავადმყოფოში მენინგოკოკცემიის დიაგნოზით 9 წლის გოგონა გარდაიცვალა.

როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში განმარტეს, ბავშვის დაღუპვის მიზეზი მენინგოკოკცემიის ელვისებური ფორმა გახდა. მიუხედავად დროულად დაწყებული მკურნალობისა, ექიმებმა პაციენტის გადარჩენა ვერ შესძლეს.

ბავშვი თბილისის ინფექციურ საავადმყოფოში გორის კლინიკიდან გადმოიყვანეს.

შეგახსენებთ, რომ ამ წელს საქართველოში მენინგოკოკცემიის სულ 6 შემთხვევა დაფიქსირდა.

**ХО-ЭОБ-ЭБО**

ხელოვნება

# კობა გურული



გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მხატვარი, საქვეყნოდ აღიარებული ხელოვანი კობა გურული, ჭედური ხელოვნების დიდოსტატი, პოეტი. თავისი აღტაცება მსოფლიოს ყველა ქვეყანამ გამოხატა, სადაც კი მისი გამოფენები იმართებოდა. თანამედროვე ქართული ჭედური ხელოვნების აღიარება — კონკურსები, ვერნისაჟები — თურქეთში, ალჟირში, მონრეალში — მსოფლიოს ხალხთა გამოფენაზე, გერმანიაში, საფრანგეთში, საბერძნეთში, ინდოეთში, მონღოლეთში... უამრავი ჯილდო და კვლავ აღტაცებული გამოხმაურება, რომ ხელოვანის შემოქმედება არის არქიტექტურასთან სინთეზურად შერწყმული ჭედურობა.

განსაკუთრებული შთაბეჭდილება თავად ხელოვანზე კვიპროსმა მოახდინა, იქაურ პრეზიდენტთან, არქიეპისკოპოსთან დიდი პატივით სტუმრობამ, ქართული ეკლესიის ნანგრევებმა და წმინდა მარიამის ხატის ხილვამ. ამის შემდეგ შეიქმნა სერია საუკეთესო ნამუშევრებისა.

ქართველი ხალხი ეთხოვება კობა გურულს, რომელმაც პატარა ქვეყნის სახელი შორს გაიტანა.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი გულისტკივილით ეთხოვება დიდ ხელოვანს, თანაუგრძნობს ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

*საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე*
მერაბ ბერძენიშვილი.

# ნიკო გომელაური




ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გუშინ, გამთენიისას, საკუთარ სახლში გარდაიცვალა პოეტი და მსახიობი ნიკო გომელაური. გომელაურს გუშინწინ საღამოს თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში ფონდ „იავნანას" ღონისძიებაში უნდა მიეღო მონაწილეობა, თუმცა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო ღონისძიებაზე მისვლა ვერ შეძლო.

ამის მიუხედავად, ღონისძიების ორგანიზატორებმა 3 ოჯახს საცხოვრებელი სახლები სწორედ გომელაურის სახელით გადასცეს.

შეგახსენებთ, რომ ნიკო გომელაური, რომელიც ავთვისებიანი სიმსივნით იყო დაავადებული, 1970 წელს თბილისში დაიბადა. 1992 წელს დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის სამსახიობო ფაკულტეტი. 1998 წლიდან ის გრიბოედოვის სახელობის რუსული თეატრის მსახიობი იყო.

გომელაური კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი გახლდათ. 2001 წელს მან ლექსების პირველი კრებული, 2002 წელს — მეორე, 2003 წელს — აუდიო-წიგნი, 2004 წელს — მესამე, ხოლო 2008 წელს მე-4 კრებული გამოუშვა. ამასთან, გომელაურმა 2004 წელს ბრესტის საერთაშორისო ფესტივალზე გაიმარჯვა ნომინაციაში „მამაკაცის საუკეთესო როლის შესრულებისთვის". ამავე ნომინაციაში იგი 2006 წელს ტრაბზონში, შავი ზღვის ქვეყნების საერთაშორისო ფესტივალზე დაჯილდოვდა.



ლევან ჩიქვანაია ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ღირსეული ქალბატონის, მეცნიერისა და პედაგოგის, ზნეკეთილი მეგობრისა და კოლეგის

ეთერ ხუფაცარიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს, ახლობლებს.



თბილისის 203-ე ყრუ და სმენადაქვეითებულთა საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე სკოლის ღვაწლმოსილი სურდოპედაგოგი, ღირსების ორდენის კავალერი, სმენადაზიანებულ ბავშვთა სასწავლებლების მეთოდისტი, საპატიო პროფესორი

ეთერ ხუფაცარია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## დაიჯესტი

### ახალი ნისკარტი ბატისთვის



როცა კოიოტების თავდასხმის შემდეგ ველურ ბატ ბიპს ნისკარტის ნაწილი მოტყდა, ფიქრობდნენ, რომ ის შიმშილით მოკვდებოდა. მაგრამ მისმა პატრონმა, კალიფორნიის ქალაქ სანტაანას სავეტერინარო კლინიკის ადმინისტრატორმა ლარი დეიმ, სადაც პლასტიკური ოპერაციების დროს სხეულის ხელოვნურ ნაწილებს უნერგავენ, ბიპს ახალი ნისკარტი გაუკეთა ფერადი პლასტმასისგან, რომელიც შემდეგ სამი ოქროს შურუპით, ძვლის წებოთი და წებოვანი ბაფთით დაუმაგრა. 25-წუთიანი ოპერაციიდან ცოტა ხნის შემდეგ სიცოცხლით სავსებით კმაყოფილი ბიპი უკვე მადიანად კენკავდა მარცვლებს.

### ყველაფერი „კვადრატში“

ბოლო დროს მსოფლიო მებოსტნეობაში პროდუქციისთვის კვადრატული ფორმის მიცემის ტენდენცია მომძლავრდა. კოლექციონერებმა უკვე შეძლეს კვადრატული პამიდვრისა და კარტოფილის მოყვანა, ექსპერიმენტები მიმდინარეობს სტაფილოსა და ჭარხალზე, ცოტა ხნის წინათ კი ბაზარზე კვადრატული კიტრი და ანანასი გამოჩნდა. საქმე ის არის, რომ, როგორც ადვილი მისახვედრია, ამ ფორმის პროდუქციის შეფუთვა და გადაზიდვა გაცილებით ადვილია.

### შინაური ნიანგები



ავსტრალიის ჩრდილოეთში, მდინარე რობიზეზონის აუზში ნიანგის ერთობ საგულისხმო, თუმცა ნაკლებად შესწავლილი სახეობა ბინადრობს. თუ დავაკვირდებით, მას პირობითად „შინაური ნიანგი“ შეიძლება ვუწოდოთ. საქმე ის არის, რომ ადგილობრივი მოსახლეობა მათ გვერდით სავსებით გულდამშვიდებით ბანაობს, ანცი პატარები კი ზურგზეც შეასკუპდებიან ხოლმე. მიუხედავად ამისა, ნიანგები ადამიანებს თავს არასოდეს ესხმიან.

### როგორ გავასახლოთ ტარაკნები?

ამერიკელმა ქიმიკოსმა კლიფ მელოენმა კიტრის ქერქში ტარაკნებისთვის ძალიან უსიამო ნივთიერება აღმოაჩინა. თურმე როგორც კი ისინი მას დაყნოსავენ, ბინიდან მაშინვე გარბიან. მელოენს მიაჩნია, რომ ამ ნივთიერების საწარმოო სინთეზი დიდ სიძნელეებს არ წარმოადგენს.

## ინფორმაცია

### ავტოკატასტროფა ქუთაისში

ქუთაისში ავტოავარიას ორი ადამიანი ემსხვერპლა.

შემთხვევა ორშაბათ ღამით, ალმაშენებლისა და ასათიანის ქუჩების გადაკვეთაზე მოხდა. ერთმანეთს „ოპელის“, BMW-სა და „რენოს“ მარკის ავტომანქანები შეეჯახა.

„რენოს“ მარკის ავტომობილს ცეცხლი მოეკიდა და აფეთქდა, რის შედეგადაც მძღოლი და მის გვერდით მჯდომი მგზავრი ადგილზე დაიღუპნენ.

დაშავდა კიდევ სამი ადამიანი, რომლებიც ადგილობრივ საავადმყოფოებში არიან გადაყვანილნი.

ᲮᲘ-ᲔᲘᲒ-ᲔᲜᲘ

## კარიკატურისტის თვალით



— იქნებ საპროცესო გარიგებით გაგვეთავისუფლებინა?

ამირან ერაძის ნახატი.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77;
899 32-85-76.

აუდიტი
34-84-83,
899 49-19-97

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7499 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3302 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.6628 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.9520 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.3636 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1778 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2083 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1643 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5643 ლარი |



### ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +8 – +16 |
| ქუთაისი. | +2 – +8 |
| ბათუმი. | +5 – +9 |
| ზუგდიდი. | +3 – +8 |
| თელავი. | +7 – +13 |

## ანეკდოტები

მდიდარ მამაკაცს შეუძლია ჰყავდეს ბევრი ქალი, ღარიბი ქალი კი იძულებულია, ჰყავდეს ბევრი მამაკაცი.

* * *

— რატომ არის, რომ მსოფლიოში ნავთობი იაფდება, ჩვენთან კი ბენზინზე ფასი მატულობს?

— ალბათ, ძვირდება ის, რასაც ბენზინში ურევენ.



* * *

— გუშინ ელექტრონული თერმომეტრი ვიყიდე, მაგრამ იგი თურმე ქალებისთვის არ გამოდგება.

— ეს როგორ?

— როგორ და, ინსტრუქციაში წერია, ორალური გზით ტემპერატურის გაზომვისას პირი მინიმუმ ხუთი წუთის განმავლობაში მოკუმული უნდა გქონდეთო.

* * *

ჩვენთან გადაღებული მხატვრული ფილმის შემდეგ — „ასე ცხოვრება არ შეიძლება“, იღებენ ფილმს — „აქ ცხოვრება არ შეიძლება“.

## დღის კალენდარი

### 14 აპრილი

ღირსისა მარიამ მეგვიპტელისა (522); ღირსთა: იოანე შავთელისა და წინასწარმეტყველისა ევლოგი სალოსისა (XIII); ღირსისა მაკარისა, პელიტიკის სავანის ილუმენისა (დაახლ. 830); მოწამეთა: გერონტისა და ბასილიდესი (III); მართლისა აქაზისი.



ამოდის 05.23
ჩადის 18.40



ამოდის 04.51
ჩადის 18.54

### დაიბადნენ:

1629 — ჰიუგენს ქრისტიანი, ჰოლანდიელი ასტრონომი, მათემატიკოსი და ფიზიკოსი. აღმოაჩინა მარსის პოლარული „ქუდები“. გარდაიცვალა 1695 წელს.

1744 — დენის ფონვიზინი, დრამატურგი, განმანათლებელი, რუსული სოციალური კომედიის შემქმნელი. გარდაიცვალა 1792 წელს.

1824 — რაფიელ ერისთავი, პოეტი. გარდაიცვალა 1901 წელს.

1862 — პიოტრ სტოლიპინი, ცნობილი რუსი სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც პროგრესულ რეფორმატორობას ტერორს უხამებდა. მოკლეს 1911 წელს;

1868 — პეტერ ბერენსი, გერმანელი არქიტექტორი და დიზაინერი. სამრეწველო საწარმოების მშენებლობაში რკინაბეტონის და ლითონის კონსტრუქციები გამოიყენა. გარდაიცვალა 1940 წელს.

1907 — ფრანსუა დიუვალიე, ჰაიტის დიქტატორი. გარდაიცვალა 1971 წელს.

1910 — გიორგი შატბერაშვილი, მწერალი. გარდაიცვალა 1965 წელს.

1922 — დავით თორაძე, კომპოზიტორი. გარდაიცვალა 1980 წელს.

### გარდაიცვალნენ:

1685 — გეორგ ჰენდელი, გერმანელი კომპოზიტორი და ორღანისტი, დაიბადა 1759 წელს.

1865 — აბრაამ ლინკოლნი, აშშ-ს მე-16 პრეზიდენტი.

1917 — ლიუდვიგ ზამენჰოფი, პოლონელი ექიმი, რომელმაც ესპერანტო გამოიგონა.

1930 — ვლადიმერ მაიაკოვსკი, რუსი საბჭოთა პოეტი.

1947 — ჰერბერტ ჯენინქსი, ამერიკელი ზოოლოგი, ერთუჯრედიანი მიკროორგანიზმის ერთ-ერთი პირველი მკვლევარი.

1986 — სიმონა დე ბოვუარი, ფრანგი მწერალი ქალი. დაიბადა 1908 წელს.

### მოვლენები:

1801 წელი — რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა აკრძალა წამება დაკითხვის დროს.

1848 წელი — უნგრეთში რევოლუცია მოხდა და პარლამენტმა ქვეყნის დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

1861 წელი — აშშ-ში დაიწყო სამოქალაქო ომი ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის.

1865 წელი — მოკლეს აშშ-ს მე-16 პრეზიდენტი აბრაამ ლინკოლნი.

1912 წელი — სუპერლაინერი „ტიტანიკი“ ღამით აისბერგს დაეჯახა და ჩაიძირა. 2224 მგზავრიდან 1500 დაიღუპა.

1931 წელი — ესპანეთში მონარქია დაემხო. მეფე ალფონს XIII ქვეყნიდან გაიქცა.

1978 წელი — თბილისში გაიმართა ხალხმრავალი საპროტესტო აქცია, რომლის მონაწილენი სახელმწიფო ენად ქართული ენის გამოცხადებას მოითხოვდნენ. ეს დღე დედაენის დღედ გამოცხადდა.

1986 წელი — ბანგლადეშში მოსულმა სეტყვამ, რომლის მარცვლები 1 კილოგრამს იწონიდა, 92 კაცი იმსხვერპლა.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

საქართველო — დედაენის დღე.
ისრაელი — თავისუფლების დღე.
რუსეთი — ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის დღე.

ᲛᲔᲚᲘᲐᲜᲘᲣᲡᲘ

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.